

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

მინდია ბოლქვაძე

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, როგორც ეკონომიკის
რეგულირების ბერკეტი

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური -2020

სარჩევი:

შესავალი -----5

თავი I. გადასახადები საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაში-----8

1.1 გადასახადების არსი, პრინციპები და ფუნქციები -----8

1.2 გადასახადების თეორია და გადასახადების კლასიფიკაცია -----22

თავი II. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ფორმირება-
ადმინისტრირების კონცეპტუალური საფუძვლები:-----37

2.1 გადასახადები, როგორც საზოგადოებრივი დოვლათისა და სახელმწიფო
სექტორის ძირითადი აქტორი-----37

2.2 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ფორმირებისა და ადმინისტრირე-
ბის თავისებურებანი საქართველოში -----47

თავი III. საგადასახადო რეგულირების არსი და სრულყოფის
ინსტრუმენტები:-----54

3.1 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების როლი სახელმწიფო ფინანსების
ფორმირებაში -----54

3.2 გადასახადები, როგორც სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტი -----63

დასკვნები და რეკომენდაციები -----71

გამოყენებული ლიტერატურა -----79

ანოტაცია

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველს, რის გარეშეც მისი არსებობა არ არის შესაძლებელი. გადასახადების დაწესება და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფორმირებასთანა დაკავშირებული, რადგან ქვეყნის დასახული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება მოითხოვს ფინანსური სახსრების შეგროვებას, აქედან გამომდინარე აუცილებელი გახდა შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების როლი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის, შეაფასოს არსებული საგადასახადო სისტემის მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. კვლევის ობიექტია მსოფლიოში და საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა, მისი პოლიტიკა, ფუნქციები და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. კვლევის საგანია საგადასახადო რეფორმების დაგეგმვის მიმართულებები და ქვეყანაში არსებული საგადასახადო სფეროს გაჯანსაღების ღონისძიებები.

ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო შემოსავლების არსზე, მის შემადგენლობაზე, საგადასახადო გარემოს ფორმირების აუცილებელ პირობებზე. განხილულია ხელისუფლებასა და ბიზნეს სუბიექტებს შორის არსებული კავშირი. არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო შემოსავლების დონე, გადასახადების პრინციპები გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, სტაბილურობას, და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას. საქართველოს სამეწარმეო განვითარებისთვის განსაკუთრებით სჭირდება მოქნილი საგადასახადო სისტემა და მაქსიმალურად ხელშემწყობი გადასახადის განაკვეთები, აგრეთვე მათი ამოღების და ბიუჯეტში შეტანის მაქსიმალურად დახვეწილი მექანიზმები, მსგავსი რეფორმა ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას საერთაშორისო ასპარეზზე, მეტი მოზიდული ინვესტიცია საშუალებაა ქვეყანამ შეძლოს განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

Annotation

Common-state taxes are the economic basis of the state, without which its existence is not possible. Imposition of taxes and establishment of a tax system related to the formation of the state, Because the performance of the tasks and responsibilities of the country requires the collection of financial resources, Therefore, it became necessary to develop appropriate mechanisms.

The aim of the paper is to highlight the role of general state taxes for the functioning of the state, economic, social and political development, Assess the state of the existing tax system and the factors affecting it. The object of research is the tax system in the world and in Georgia, its policies, functions and dynamics of tax revenues in recent years. The subject of research is the directions of tax reform planning and measures to improve the tax sector in the country.

The paper mainly focuses on the essence of tax revenue, its composition, the necessary conditions for the formation of the tax environment. The relationship between the government and business entities is discussed. Based on the available materials, we can say that the level of tax revenues, the principles of taxes show the economic policy of the country, stability, and the prospect of economic growth. Georgias entrepreneurial development especially needs a flexible tax system and maximum facilitative tax rates, As well as the most sophisticated mechanisms for their removal and budgeting, such a reform will increase the countrys investment attractiveness in the international arena. More attracted investment is a way for the country to be able to develop and improve the social situation of the population.

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა: ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის აუცილებელია გავატაროთ ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ დასახული მიზნის მიღწევას. ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ფინანსური რესურსების სიმცირე. სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. ეს არის სპეციალური ზომების სისტემა საგადასახადო სფეროში, რომლის მიზანია მთავრობის ჩარევა საბაზრო ეკონომიკაში, მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური ზრდის კონცეფციის შესაბამისად. საგადასახადო რეგულირება მოიცავს მთლიან ეკონომიკას. საგადასახადო რეგულირების ერთი ასპექტია მოსახლეობისგან გადასახადების შეგროვება. გადასახადების შეგროვების მსოფლიო პრაქტიკაში ეს გადასახადები, თუ არ არის გადამწყვეტი, მაშინ ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს არაპირდაპირი და შემოსავლის დაბეგვრის სისტემის საშუალებით, სახელმწიფო მოქმედებს მოსახლეობის პირად მოხმარებასა და მოსახლეობის გამხსნელ მოთხოვნაზე, დაწესებული გადასახადისგან განთავისუფლებული მინიმუმის, განთავისუფლების (სრულ ან ნაწილობრივ) გარკვეული შემოსავლისა და საქონლის ჯგუფების შესაბამისი გადასახადებისგან. მოსახლეობის გამხსნელი მოთხოვნის რეგულირების გზით, სახელმწიფო გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე და მიწოდებაზე, პერსონალურ დანაზოგებზე და ინვესტიციებზე.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანი: გამოიკვეთოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების როლი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის, შეაფასოს არსებული საგადასახადო სისტემის მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. კვლევის ობიექტია მსოფლიოში და საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა, მისი

პოლიტიკა, ფუნქციები და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. კვლევის საგანია საგადასახადო რეფორმების დაგეგმვის მიმართულებები და ქვეყანაში არსებული საგადასახადო სფეროს გაჯანსაღების ღონისძიებები. არსებული მიზნებიდან გამომდინარე ჩამოვყალიბეთ კვლევის შემდეგი ამოცანები:

- დავაზუსტოთ თეორიული მნიშვნელობა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების;
- განვსაზღვროთ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ამოღებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების რისკ-ფაქტორები;
- გავანალიზოთ გადასახადების როლი ქვეყნის ეკონომიკაზე და მისი წილი საბიუჯეტო შემოსავლებზე;
- განვიხილოთ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაზე მოქმედი გარემოებები და განსაზღვროთ საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელობა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური განვითარებისთვის;
- შევისწავლოთ და გავანალიზოთ თანამედროვე ეტაპზე იდეალური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბების და გაუმჯობესების პირობები.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების მიმართულებები და ქვეყნისთვის სოციალური, ეკონომიკური სტაბილურობის ღონისძიებები. კვლევის ობიექტია საქართველოს და მსოფლიო საგადასახადო პოლიტიკა და მისი როლი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი წარმოდგენილია ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევებით. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, მთავრობის დადგენილებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების განვითარების სამინისტროს საინფორმაციო ბაზა.

კვლევის მეთოდები: ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად შემუშავებული იქნა დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევისას გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტი წარმოდგენილია კითხვარის და ანალიზის სახით. კვლევა ჩატარდა შემთხვევითი შერჩვის მეთოდით და მონაცემების სიზუსტისთვის გამოყენებული იქნა შეგროვებითი, შედარებითი მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: სამაგისტრო ნაშრომი მოცულობით 78 გვერდია, მოიცავს შესავალს, სამ თავს, თითოეულში შედის ორი ქვეთავი. ნაშრომს თან ერთვის დასკვნები და რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. გადასახადები საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაში

1.1 გადასახადების არსი, პრინციპები და ფუნქციები

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველს, რის გარეშეც მისი არსებობა არ არის შესაძლებელი. გადასახადების დაწესება და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფორმირებასთან დაკავშირებული, რადგან ქვეყნის დასახული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება მოითხოვს ფინანსური სახსრების შეგროვებას, აქედან გამომდინარე აუცილებელი გახდა შესაბამისი მექანიზმების შემუშავება. ჯერ მონათ-მფლობელური, შემდეგ ფეოდალური მოწყობის ქვეყნები გადასახადებით ავსებდნენ ხაზინას. მონათ-მფლობელურ წყობილებაში გადასახადების ამოღება ხდებოდა ნატურით და შრომაზე დაბეგვრით. საქონლის და ფულადი ურთიერთობების ფორმირების შესაბამისად გადასახადების ამოღება დაიწყო მხოლოდ ფულის სახით.

საფინანსო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია გადასახადებით დაბეგვრის სფეროში არსებული ურთიერთობები, საგადასახადო სისტემა დაკავშირებულია სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემასთან. ნებისმიერ სახელმწიფოში ფინანსური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო სახელმწიფო ფინანსებია, ის უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ფუნქციების შესრულებას. ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი ფინანსური ბაზა. ქვეყნის ფინანსური სისტემის მთავარ რგოლს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, სადაც მობილიზებულია ფინანსური რესურსები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური დანიშნულების ხარჯები, რომელიც აუცილებელია ქვეყნის წინაშე არსებული მიზნების შესრულებისთვის, აქედან გამომდინარე ბიუჯეტის ფორმირებისთვის შემოსავლის წყაროების წარმოქმნა და მათი სწორად გამოყენების შესწავლა, სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალის რაციონალურად წარმართვას დიდი

მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის მაღალი დონე უზრუნველყოფს მთავრობის ძირითადი და აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკურ და იურიდიულ ასპექტებში.

ეკონომიკური ასპექტი - ქვეყნის ბიუჯეტი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთიანობა, რაც წარმოიშვება ფულადი საშუალებების ცენტრალური ფონდის ფორმირების, გადანაწილების და რეალიზების პროცესებში.

იურიდიული ასპექტი - სახელმწიფო ბიუჯეტი არის საჯარო ფინანსური სახსრების შექმნის, განაწილების და რეალიზების მთავარი ფინანსური გეგმა, რომელსაც კანონის ფორმით იღებს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანო და მოიხსენიება ბიუჯეტის შესახებ კანონი. ასეთი ფინანსური გეგმით იურიდიული უფლება-მოვალეობები ეკისრებათ საბიუჯეტო სახსრების განმკარგავ სუბიექტებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ. **(საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი...2009: მუხლი 6)**

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმაა შესაბამისი წლისათვის, რომელსაც კანონის ძალა აქვს და მასში აკუმულირებული ფულადი სახსრების ფონდები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ის წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციას ფულად ფორმაში. **(საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი...2009: მუხლი 6)**

ქვეყნის ფინანსებში ადგილი აქვს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესს:

1. ხორციელდება ფინანსური რესურსების მობილიზაცია სახელმწიფოს განკარგულებაში.

2. ხორციელდება მობილიზებული ფინანსური რესურსებით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება.

ფინანსური რესურსების მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლება, რომელიც გარდაისახება ხარჯში.

ბიუჯეტის შემოსავლები ქვეყნის ფინანსური რესურსებია, რაც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის. გამოიყოფა სახელმწიფო შემოსავლების ორი სახე: **ცენტრალიზებული** და **დეცენტრალიზებული**. ცენტრალიზებულ სახელმწიფო შემოსავლებში თავმოყრილია სხვადასხვა დონის ბიუჯეტები და სახელმწიფოს ცენტრალური ფონდები, დეცენტრალიზებული შემოსავლები სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების განკარგულებაშია. სახელმწიფოებრივი მოწყობიდან გამომდინარე გამოირჩევა სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შემოსავლები:

უნიტარულ ქვეყანაში - ცენტრალური ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს;

ფედერალურ სახელმწიფოში - ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებს და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებთან ერთად არის ფედერაციის წევრების ბიუჯეტის შემოსავლები.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს :

1. გადასახადს; გრანტს; სხვა შემოსავალს;
2. არაფინანსურ აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
3. ფინანსურ აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
4. ვალდებულებებს (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

(საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი... 2020: მუხლი 10)

„გადასახადი ეს არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით, არ ატარებს დასჯის ან კონტრიბუციის ხასიათს და აუცილებელია საჯარო ხელისუფლების სუბიექტების გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად“. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი... 2020: მუხლი 6)

მოცემული განმარტების მიხედვით, გადასახადის გადამხდელი არის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირი. გადასახადის გადახდა ნიშნავს სოციალური ვალდებულების შესრულებას, რაც გამომდინარეობს კერძო საკუთრების უფლებიდან, კერძო საკუთრება თავის მხრივ საზოგადოების ინტერესების შესრულების ინსტრუმენტია. გადასახადების დაწესება გამომდინარეობს სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად და ის არის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

გადასახადი სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტს წარმოადგენს. სახელმწიფოს და კერძო სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონეს და ხარისხს გამოსახავს. ის მისი ეკონომიკური ბუნებით განაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლის ნაწილია, რაც მიემართება სახელმწიფო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. გადასახადის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფომ საკუთარი თავი შეინახოს. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს და კერძო სამეურნეო სუბიექტებს შორის არათანაბარი საგადასახადო თანამშრომლობა, რაც ნიშნავს, რომ ასეთ ურთიერთობაში მთავრობა მთავარი მოქმედი პირია და გადასახადის გადამხდელები არიან მთავრობის მიერ შექმნილი სავალდებულო საგადასახადო კანონმდებლობის შემსრულებლები.

გადასახადი სავალდებულო ხასიათისაა, ის ეროვნული შემოსავლის ის ნაწილია, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებიდან იძულების წესით იღებს. ასეთი მეთოდის გამოყენება აუცილებელია იმ გარემოებით, რომ გადასახადის

გადამხდელები საკუთარი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე ღებულობენ მაქსიმალურ შემოსავლებს, და ცდილობენ ნებაყოფლობითი წესით არ გადაიხადონ გადასახადი. აქედან გამომდინარე გადასახადის გადახდა ნებისმიერი მეწარმე ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის უსიამოვნო პროცესია.

გადასახადი არ არის დაბრუნებადი, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელიდან ამოღებულ თანხას ფულადი ფორმით არ აბრუნებს, თუმცა სახელმწიფოები საგადასახადო შემოსავლებიდან ნაწილს ხარჯავს ეკონომიკის სტიმულირებისთვის, სოციალური და სხვა ღონისძიებისთვის. ამ ფორმით გადასახადების რაღაც ნაწილი არაპირდაპირი გზით ბრუნდება გადასახადის გადამხდელებთან, გამოიყენება მათი და მთელი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისთვის, თავდაცვისთვის, წესრიგისთვის და ა.შ. შესაბამისად გადასახადი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის მიმართ გაწეული მომსახურების საფასურია.

ფისკალურ სისტემაში არსებობს ურთიერთობები სახელმწიფო ფინანსების ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით: ბიუჯეტი და ბიუჯეტგარეშე ფონდები. იგი შექმნილია სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური, თავდაცვისა და სხვა ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ფისკალური სისტემის მნიშვნელოვანი „არტერია“ არის გადასახადები. გადასახადები წარმოიშვა სასაქონლო წარმოებასთან, საზოგადოების კლასებად დაყოფასა და სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად, რომელსაც თანხები სჭირდებოდა ჯარის, სასამართლოების, თანამდებობის პირების და სხვა საჭიროებების დასახმარებლად.

„სახელმწიფოს ეკონომიკურად გამოხატული არსებობა გადასახადებით არის განპირობებული“, - აღნიშნა კ. მარქსმა.¹

სახელმწიფო ფინანსური რესურსების სრულად დაკმაყოფილების აუცილებლობის საფუძველზე სახელმწიფო ადგენს გადასახადების ერთობლიობას, რომელიც უნდა იყოს დაწესებული ერთიანი წესების მიხედვით და ერთიანი

¹ შენიშვნა: (<https://awgm.ru/ka/3-funkcii-naloga-i-nalogooblozheniya-nalogi-ih-vidy-i-funkcii.html>)

პრინციპებით. პირველი ასეთი პრინციპები ჩამოაყალიბა ადამ სმიტმა, რომელიც თავის ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელიც გამოიცა 1776 წელს, პირველად ჩამოაყალიბა დაბეგვრის ოთხი ძირითადი პრინციპი.

თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი: ყველა მოქალაქე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ფინანსების ფორმირებაში მიღებული შემოსავლისა და შესაძლებლობების პროპორციულად.

განსაზღვრულობის პრინციპი: დადგენილი გადასახადი, რომლის გადახდაც ყველას ვალდებულებაა დადგენილი უნდა იყოს ზუსტად, მისი გადახდის დრო, მეთოდი და ოდენობა უნდა იყოს მკაფიო და ცნობილი თავად გადასახადის გადამხდელისთვის და ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის.

ეკონომიის პრინციპი: უზრუნველყოფილი უნდა იქნას თითოეული კონკრეტული გადასახადის მაქსიმალური ეფექტურობა, რაც გამოიხატება მთავრობის შენახვის დაბალი დანახარჯებით გადასახადების შეგროვებისა და საგადასახადო აპარატის შენარჩუნებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემის მართვისა და საგადასახადო შესაბამისობის ადმინისტრაციული ხარჯები უნდა იყოს მინიმალური.

მოხერხებულობის პრინციპი: თითოეული გადასახადი უნდა გადაიხადოს ისეთ დროს და იმ გზით, რომელიც მოსახერხებელია გადასახადის გადამხდელისათვის. ეს ნიშნავს ფორმალობების აღმოფხვრას და გადასახადების გადახდის აქტის გამარტივებას.

ამ პრინციპების ფორმულირებისა და მეცნიერული დასაბუთების შედეგად, ადამ სმიტმა საფუძველი ჩაუყარა საგადასახადო ფუნდამენტური პრინციპების თეორიულ განვითარებას.

გერმანელმა ეკონომისტმა ადოლფ ვაგნერმა გააფართოვა ადრე შემოთავაზებული პრინციპების სია, რომელშიც ასახულია ისინი ცხრა ძირითადი წესით, ოთხ ჯგუფად.

ფინანსური პრინციპები:

- **დაბეგვრის საკმარისობა**, ე.ი. საგადასახადო შემოსავლები საკმარისი უნდა იყოს მთავრობის ხარჯების დასაფარად;

- დაბეგვრის ელასტიურობა, ე.ი. სახელმწიფომ უნდა შეძლოს შემოიღოს ახალი და გაუქმდეს არსებული გადასახადები, ასევე შეცვალოს გადასახადების განაკვეთები.

ეკონომიკა და ბიზნესის პრინციპები:

- დაბეგვრის ობიექტის სწორად შერჩევა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს საგადასახადო ობიექტის დადგენა;

- საგადასახადო სისტემის შექმნის რაციონალურობა, რომელიც ითვალისწინებს მათი წინადადების შედეგებსა და პირობებს.

ეთიკური პრინციპები:

- საგადასახადო საერთოობა;
- დაბეგვრის თანასწორობა.

საგადასახადო ადმინისტრირების პრინციპები:

- დაბეგვრის განსაზღვრულობა;
- გადასახადების გადახდის მოხერხებულობა;
- შეგროვების ხარჯების მაქსიმალური შემცირება.

ამრიგად, დაბეგვრის თეორიამ საფუძველი ჩაუყარა საგადასახადო პრინციპების სისტემას, რომელიც აერთიანებს როგორც სახელმწიფოს, ასევე გადასახადის გადამხდელთა ინტერესებს.

ჩამოთვლილი პრინციპები პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საგადასახადო რეფორმები მომწიფდა და დაიწყო განხორციელება მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში. იმავდროულად, გადასახადის თეორია არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ კლასიკური პრინციპებით და წესებით. საგადასახადო სისტემების შემუშავებითა და გაუმჯობესებით, განვითარდა ფინანსური მეცნიერება, ძველის დაზუსტება და დაბეგვრის ახალი პრინციპების გამოყოფა. შემუშავებულია XVIII-XIX საუკუნეებში და დაზუსტებულია XX საუკუნეში. ეკონომიკური და ფინანსური თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, დაბეგვრის პრინციპები ამჟამად ჩამოყალიბებულია გარკვეულ სისტემაში. ეს სისტემა სამი მიმართულებისგან შედგება.

პირველი მიმართულება არის **ეკონომიკური პრინციპები**.

თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, ყველა იურიდიულმა პირმა და ფიზიკურმა პირმა მატერიალური მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფოს საჭიროებების დაფინანსებაში პროპორციულად, მათ მიერ მიღებულ შემოსავალში და სახელმწიფოს მხარდაჭერით. უფრო მეტიც, თანასწორობა და სამართლიანობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ასპექტებში.

ვერტიკალური ასპექტი ვარაუდობს, რომ:

- შემოსავლის ზრდასთან ერთად, საგადასახადო განაკვეთები უნდა გაიზარდოს;
- გადამხდელები, რომლებიც სახელმწიფოსგან მეტ მატერიალურ საქონელს იღებენ, უნდა გადაიხადონ მეტი გადასახადი.

ჰორიზონტალური ასპექტი მიგვითითებს იმაზე, რომ იგივე შემოსავლის მქონე გადამხდელებმა გადასახადები უნდა გადაიხადონ ერთნაირი განაკვეთებით.

გლობალური საგადასახადო სისტემის შექმნისას, ეს ორი ასპექტი, როგორც წესი, წარმატებით არის შერწყმული, რაც ქმნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს დაბეგვრის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპის განხორციელებისთვის. ითვლება, რომ პროგრესული დაბეგვრა უფრო სამართლიანია, რადგან იგი უზრუნველყოფს უფრო მეტ თანასწორობას გადასახადის გადამხდელთა შორის.

ეფექტურობის პრინციპი. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადებმა არ უნდა შეუშალოს ხელი წარმოების განვითარებას, ამავე დროს ხელს უნდა უწყობდეს სტაბილიზაციის პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ეფექტური საგადასახადო სისტემა ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, მოქალაქეთა და ორგანიზაციების ეკონომიკურ აქტივობას.

გადასახადების პროპორციულობის პრინციპი. ეს პრინციპია ბიუჯეტის თანაფარდობა დაბეგვრის შედეგებთან. გადასახადების დაწესებისას და მათი ძირითადი ელემენტების დადგენისას, ეკონომიკური შედეგები უნდა იქნას გათვალისწინებული

როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის და გავლენა გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკურ საქმიანობაზე.

მრავლობითობის პრინციპი. გადასახადების სიმრავლე შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს შექმნას წინაპირობები, რომ განახორციელოს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა, გაითვალისწინოს გადასახადის გადამხდელთა გადახდისუნარიანობა უფრო დიდი ზომით, დააბალანსოს საგადასახადო ტვირთი, იმოქმედოს მოხმარებასა და დაგროვებაზე და ა.შ., ამ პრინციპის პრაქტიკული გამოყენება უნდა ემყარებოდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გონივრულ შერწყმას. ამ პრინციპის განსახორციელებლად, აუცილებელია გადასახადების ტიპების მთელი სახეობის გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა გაითვალისწინოს როგორც გადასახადის გადამხდელთა ქონებრივი სტატუსი, ასევე მათი შემოსავალი.

მეორე მიმართულება მოიცავს საგადასახადო ორგანიზაციის პრინციპებს.

დაბეგვრის უნივერსალიზაციის პრინციპი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია დამატებითი გადასახადების დაწესება, გაზრდილი ან დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების დაწესება, რაც დამოკიდებულია საკუთრების ფორმებზე, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმებზე, მათ ინდუსტრიულ კუთვნილებაზე, ინდივიდის მოქალაქეობაზე და იგივე მიდგომა უნდა გაკეთდეს გადასახადების გაანგარიშებისდა მიუხედავად. წყაროებიდან ან შემოსავლის ადგილიდან.

გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის მოხერხებულობის და შეგროვების ვადების პრინციპი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერი გადასახადის შემოღებით, უნდა გამოირიცხოს ყველა ფორმალობა: გადასახადის გადახდის აქტი მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს; არ არის შემოსავლის მიმღები, რომელიც იხდის გადასახადს, არამედ ის ორგანიზაცია, რომელშიც ის მუშაობს, საგადასახადო გადასახადი უნდა დაინიშნოს, რომ დაემთხვეს შემოსავლის მიღებას. ამ პრინციპის თანახმად, მოხმარების გადასახადები საუკეთესოა, როდესაც საქონლის შექმნასთან ერთად გადასახადი გადახდა ხდება.

გადასახადების განცალკევების პრინციპი მთავრობის დონეზე. ეს პრინციპი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფედერალურ სახელმწიფოში, უნდა იყოს დაცული კანონით. იგი ადგენს, რომ თითოეული ორგანოს (ფედერალური, რეგიონული და ადგილობრივი), აღჭურვილია განსაკუთრებული უფლებამოსილების სფეროში დანერგვის, გადასახადის გაუქმების, დამყარების საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო განაკვეთები და სხვა ელემენტების დაბეგვრას.

საგადასახადო სისტემის ერთიანობის პრინციპი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, გადასახადები, რომლებიც არღვევს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის და ქვეყნის საგადასახადო სისტემის ერთიანობას, არ შეიძლება დაწესდეს. ამასთან დაკავშირებით, მიუღებელია გადასახადები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ზღუდავს ქვეყნის შიგნით საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ან ფინანსური რესურსების თავისუფალ გადაადგილებას; შეუძლებელია სხვაგვარად შეიზღუდოს ფიზიკური და იურიდიული პირების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, რომლებიც კანონით აკრძალული არ არის ან მის გზაზე შექმნის წინააღმდეგობას.

საჯაროობის პრინციპი. ეს არის მოთხოვნა საგადასახადო კანონებისა და წესების ოფიციალური გამოქვეყნების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებებზე. ამ პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია აცნობოს გადასახადის გადამხდელს მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ, მისცეს ახსნა-განმარტებები და რჩევები გადასახადების გამომანგარიშებისა და გადახდის შესახებ.

ერთდროულობის პრინციპი. ჩვეულებრივ ფუნქციონირებულ საგადასახადო სისტემაში, იმავე ობიექტზე არ არის დაშვებული რამდენიმე გადასახადი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ობიექტის დაბეგვრა შესაძლებელია მხოლოდ ერთი ტიპის და მხოლოდ ერთხელ, კანონით განსაზღვრული საგადასახადო პერიოდისთვის.

განსაზღვრულობის პრინციპი. ამ პრინციპის დაცლის გარეშე შეუძლებელია რაციონალური და სტაბილური საგადასახადო სისტემა. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ საგადასახადო კანონები არ უნდა იქნას განმარტებული თვითნებურად, და საგადასახადო კანონები უნდა იყოს პირდაპირი მოქმედების კანონები, რაც გამოირიცხება მითითებების გაცემის აუცილებლობაზე, ასახელებს მათ, წერილებს, განმარტებებს და სხვა მარეგულირებელ აქტებს. ამავე დროს, საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მოქნილი და ადვილად ადაპტირებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეცვლისთვის, უნდა არსებობდეს მისი გარკვევის შესაძლებლობა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

მესამე მიმართულება არის დაბეგვრის იურიდიული პრინციპები.

საკანონმდებლო ფორმის ჩამოყალიბების პრინციპი. ეს პრინციპი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნა იხდის გადასახადს და გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას უნდა დაეკისროს კანონისგან, რაც ნიშნავს, რომ გადასახადები არ შეიძლება იყოს თვითნებური. დაუშვებელია გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება, რომლებიც ხელს უშლის მოქალაქეების მიერ მათი კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას. მაგრამ იმის გამო, რომ დაბეგვრა ყოველთვის გულისხმობს უფლებების გარკვეულ შეზღუდვას, გადასახადების დაწესებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები კანონით შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია კონსტიტუციური სისტემის საფუძვლების, ზნეობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად. სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება.

საგადასახადო კანონმდებლობის პრიორიტეტის პრინციპი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადად ურთიერთობების მარეგულირებელი მოქმედებები და დაკავშირებული არ არის საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული, არ უნდა შეიცავდეს ნორმებს სპეციალური საგადასახადო პროცედურის შექმნის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ თუ საგადასახადო კანონები შეიცავს წესებს, რომლებიც ეხება

საგადასახადო ურთიერთობებს, მაშინ მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობაში მოცემულ ნორმებს.

გასათვალისწინებელია, რომ დაბეგვრის ნებისმიერი პრინციპის გამოყენება მოითხოვს სერიოზულ სამეცნიერო მიდგომას და ანალიზს. პრინციპების მთელი სისტემის ან ერთი პრინციპის გამოყენება ზოგადად არ არის მიღებული მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში. ამასთან, არსებობს პრინციპები, რომლებიც უდაოა და აღიარებულია, როგორც აქსიომები. ისტორიულად ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც ნებისმიერი საგადასახადო სისტემის საფუძველი უნდა იყოს, არის ადამ სმიტისა და ადოლფ ვაგნერის მიერ შემუშავებული პრინციპები.

ზოგიერთი პრინციპი, როგორცაა საგადასახადო მრავლობა, მოხერხებულობა, ეკონომია, საკმაოდ მარტივად ხორციელდება. სხვა პრინციპების სრული დაცვა, მაგალითად, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები, პროპორციულობა შეუძლებელია, მაგრამ სახელმწიფო უნდა მიისწრაფოდეს შესაბამისი ეფექტური საგადასახადო სისტემის დაცვისკენ.

გადასახადები ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. გადასახადების ფუნქციები გამოისახება არსში, დანიშნულებაში, თვისებებში, აგრეთვე მოსახლეობაში როლის განსაზღვრაში. გადასახადების ფუნქციები აჩვენებს, თუ როგორ ახდენენ მოცემული ეკონომიკური კატეგორიის შემოსავლის განაწილების ინსტუმენტის გამოყენებას, მისი მეშვეობით ხორციელდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გათანაბრება და ეკონომიკის სტიმულირება.

გადასახადების ფუნქციებიდან გამოყოფენ ორ ძირითად ფუნქციას: **ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციას**. ამ ფუნქციების გარდა, ასევე გამოყოფენ **გადასახადების სოციალურ ფუნქციასაც**.

ფისკალური ფუნქცია - ეს ფუნქცია უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების შესრულებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზებას. ფისკალური ფუნქციის საშუალებით ხდება გადასახადების ფორმირება, რომელიც

აისახება ბიუჯეტში და აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდებში. აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ამოცანების რეალიზება, განსაკუთრებით წესრიგის, სოციალური დარგების, თავდაცვის, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და სხვა მიმართულებების დაფინანსება.

მთავრობა გადასახადების ფისკალური ფუნქციის საშუალებით უზრუნველყოფს:

- ბალანსის მიღწევა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის;
- საგადასახადო შემოსავლების თანაბრად განაწილება საბიუჯეტო სისტემის

სხვადასხვა რგოლებს შორის;

- სახელმწიფოს და ცალკეულ რაიონებში მაღალი დონის სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას;

- პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანების შესრულებას.

მარეგულირებელი ფუნქციის აუცილებლობა გამომდინარეობს ფისკალური ფუნქციიდან. რადგან ფისკალური ფუნქციით სახელმწიფო შემოსავლების ზრდა წარმოებს, ეს ფაქტორი სახელმწიფოს ჩარევის წინაპირობას ქმნის.

მარეგულირებელი ფუნქცია - ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ან შენელება შესაძლებელია საგადასახადო განაკვეთების მანევრირების საშუალებით. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია ეკონომიკურის ფუნქციის სახელითაც მოიხსენიება. ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში მასტიმულირებელი ფუნქციის სახელითაც არის მოხსენიებული, მათ შინაარსში პრინციპული განსხვავება არ არის. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესში გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ, ანელებენ ან ასტიმულირებენ პროცესის ტემპებს, ასუსტებენ ან აძლიერებენ კაპიტალის დაგროვებას, მოქალაქეების მსყიდველობითუნარიანობას აფართოებენ ან ამცირებენ. ეს ფუნქცია ფისკალურ ფუნქციასთან მჭიდრო კავშირშია. ეროვნული შემოსავლის მობილიზაცია იწვევს სისტემატურ შეხებას გადასახადის გადამხდელთან, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს რეალური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე და კვლავწარმოების პროცესის ყველა საფეხურზე. მარეგულირებელი

ფუნქცია ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში იძლევა ძლიერ ეფექტს, და პირიქით ეცემა მისი მნიშვნელობა ეკონომიკური კრიზისის დროს. მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება, ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების გათანაბრება, ბიზნესის განვითარება, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების რეგულირება მარეგულირებელი ფუნქციის საშუალებით ხდება.

ეკონომიკის რეგულირებისათვის პრაქტიკაში გამოიყენება ორი საგადასახადო მოდელი: **მკაცრი და ლიბერალური.**

ლიბერალური მოდელი გულისხმობს დაბალ საგადასახადო განაკვეთებს, ამ დროს საგადასახადო შეღავათების წრე შედარებით მეტია, შესაბამისად გადასახადის გადამხდელებს რჩებათ შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოთავისუფლებული სახსრებით ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ რეინვესტირება საწარმოს ტექნოლოგიური და ტექნიკური სრულყოფისთვის, საბოლოო ჯამში მოხდება შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ეკონომიკური ზრდა და გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მკაცრი მოდელი გულისხმობს შეღავათების ვიწრო წრეს და მაღალ საგადასახადო განაკვეთებს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს ნაკლები შემოსავლები რჩებათ და ვერ ახორციელებენ წარმოების განვითარებას, ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, სამეურნეო აქტივობა მცირდება, შესაბამისად საგადასახადო ბაზაც მცირდება.

ზემოთ ხსენებული **სოციალური ფუნქცია** ემსახურება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გათანაბრებას. ამ ფუნქციის საშუალებით პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრით დაბალშემოსავლიან ჯგუფში ნაწილდება მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირებიდან ამოღებული ეროვნული შემოსავლები. სხვადასხვა მოცულობის შემოსავლებზე არათანაბარი დაბეგვრის გზით ხდება ამ ფუნქციის რეალიზაცია. საწარმოების და საზოგადოების პირადი შემოსავლები უმეტესად იბეგრება პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით. პროგრესული დაბეგვრის მეთოდით გადასახადების ამოღება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოებაში. დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები თვლიან, რომ გადასახადების

განაკვეთები კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს მაღალ შემოსავლიან მოქალაქეებზე, ხოლო მაღალ შემოსავლიან მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ მათი შემოსავლების დიდი განაკვეთით დაბეგვრა საინვესტიციო აქტივობას ამცირებს და უარყოფითად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.

გარდა ზემოთ ხსენებული ფუნქციებისა, გადასახადებს აკუთვნებენ **მაკონტროლებელ ფუნქციასაც**. ამ ფუნქციით ფასდება საგადასახადო მექანიზმი, ვლინდება საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემაში შესატანი ცვლილებები, კონტროლდება ფინანსური ნაკადების მოძრაობა. გადასახადების მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება დიდწილად საგადასახადო დისციპლინაზეა დამოკიდებული, რაც გადასახადის გადამხდელების მიერ კანონით შემოღებული გადასახადების დროულად და სრულად გადახდას გულისხმობს.

1.2 გადასახადების თეორია და გადასახადების კლასიფიკაცია

სახელმწიფოსთვის შემოსავლების უმთავრესი ფინანსური წყარო გადასახადებია, რომელიც ურთიერთობების ერთგვარი ჯაჭვია სახელმწიფოს და მოქალაქეებს შორის.

გადასახადები ისტორია სათავეს ძველი დროიდან იღებს. გადასახადები სახელმწიფოს, სახელმწიფო აპარატის (ჯარი, სასამართლო, მოხელეები) და წარმოების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა, რომელიც თანდათანობით ბიუჯეტის შევსების მთავარი წყარო გახდა.

საწყის ეტაპზე გადასახადები ნატურალური ფორმით, სისტემის გარეშე არსებობდა. ნატურალური ფორმით გადასახადების ამოღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-V საუკუნეში ფიქსირდება. გადასახადის სახით მოქალაქეები ფიზიკურ სამუშაოებსაც ასრულებდნენ. გადასახადის აკრეფის ფორმას საზოგადოები საჭიროება გადასახადის ფორმას განსაზღვრავდა. გადასახადების ფულად ფორმას საფუძველი ჩაეყარა სასაქონლო და ფულადი ურთიერთობების განვითარებით.

გადასახადების გადახდა კონკრეტული დანიშნულების შესაბამისად ხდებოდა. დაყოფილი იყო მიზნობრივ (მთავრობის, ჯარის შესანახად, გზების მშენებლობისთვის) და განსაკუთრებულ (ომის ხარჯების დასაფარად) გადასახადებად. ამასთან წარსულში საკმაოდ მძიმე იყო საგადასახადო ტვირთი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში აჯანყების საფუძველი არაერთხელ გამხდარა.

კაცობრიობა გადასახადების დღევანდელ დასაბუთებამდე წელი ტემპით მივიდა. თავდაპირველად მას ჰქონდა საჩუქრის სახე, რომელსაც მოქალაქე სახელმწიფოს მეთაურს ჩუქნიდა იმისთვის, რომ მტრებისგან დაეცვა. შემდეგ იდეა შეიცვალა და მოსახლეობის საერთო მიზნების მხარდაჭერისთვის სახელმწიფო მეთაურის თხოვნა გახდა, რომელიც კვლავ გადაიზარდა იდეაში რომ ეს იყო სახელმწიფოსთვის ფულადი დახმარების გაწევა. თანამედროვე გადასახადებამდე სვლის მეოთხე თეორია იყო შემოწირულობის იდეა, რომელსაც მოქალაქეები იღებდნენ სახელმწიფოს ინტერესებისთვის. შემდეგი თეორია - ეს იყო სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის ვალი. მეექვსე დონის იდეა ეს არის რწმენა, რომ სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის მოხდებოდა მოქალაქიდან იძულებით ფულის ამოღება. ბოლოს, საგადასახადო პროგრესის მეშვიდე ეტაპზე წარმოიშვა იდეა გადასახადებზე, როგორც ცივილიზებულ, განვითარებულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის აუცილებელ ფულად შენატანზე.

პირველად საგადასახადო სისტემა ძველ რომში ჩამოყალიბდა. რომის სახელმწიფოებრივი მოწყობა და საგადასახადო სისტემა, ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებიც მოგვიანებით წარმოიქმნენ, მაგალითი გახდა. ისეთი ტერმინები, როგორც არის ფისკალი, აქციზი, ცენზი - ზუსტად იმ ძველი დროიდან მოაღწიეს ჩვენამდე. რომის საგადასახადო სისტემა საკმაოდ მარტივი იყო, როცა ის ჯერ კიდევ ქალაქ-სახელმწიფო იყო. მშვიდობის პერიოდში გადასახადების ამოღება არ ხდებოდა. სახელმწიფო აპარატი თავის თავს თვითონ ინახავდა. ომის პერიოდში რომის მოქალაქეები თავიანთი შემოსავლების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს. ისინი ხუთ წელში ერთხელ ცენზორებთან წერდნენ განცხადებას ოჯახური მდგომარეობის და ქონების შესახებ. ამ განცხადების საფუძველზე, რაც დღევანდელ საგადასახადო

დეკლარაციებად ითვლება, ითვლიდნენ გადასახადის თანხას (ცენზი). რომის სახელმწიფოს გაფართოების და იმპერიად გადაქცევის შემდეგ გართულდა საგადასახადო სისტემა. ომის შედეგად დაუფლებულ მიწებზე შემოიღეს ადგილობრივი გადასახადები. მათ, ვინც რომაელებს წინააღმდეგობას უწევდა უფრო მაღალა ადგილობრივ გადასახად იხდიდა.

გადასახადების დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად ძველი რომიდან დაიწყო. პირდაპირი გადასახადი იყო გადასახადი შემოსავლების შესაბამისად. არაპირდაპირი გადასახადები იყო: ბრუნვაზე გადასახადი (1%), მონებით ვაჭრობაზე (4%), მონების განთავისუფლებაზე (5%), მემკვიდრეობაზე (5%), რასაც მხოლოდ რომის მოქალაქეები იხდიდნენ. ამოღებულ თანხებს მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდათ - ჯარისკაცების პენსიებისთვის. იმ დროს გადასახადები არამხოლოდ ფისკალურ როლს ასრულებდა, არამედ სავაჭრო ურთიერთობებისთვის დამატებით სტიმულს წარმოადგენდა. გადასახადების გადახდა ფულის სახით ხდებოდა, შესაბამისად მოსახლეობა მოსავლის ნაწილს ყიდდა. ამით ღრმავდებოდა შრომის დანაწილება და ურბანიზაცია.

ევროპული სახელმწიფოების ჩამოყალიბება XVI-XVII საუკუნეებში მოხდა. მაგრამ საგადასახადო სისტემა სრულყოფილებისგან ძალიან შორს იყო. მას შემდეგ რაც ფეოდალური სისტემა დაეცა დაბეგვრის ძირითადი ობიექტი გახდა მიწა. მიწაზე გადასახადის სიდიდე მიწის ფართობზე იყო დამოკიდებული. შემდეგ გადასახადი დაწესდა იმ შემოსავლიდან გამომდინარე, რასაც მიწის მესაკუთრე მიიღებდა. დიდი ბრიტანეთის კოლონიებში შემოღებული იყო ქონებაზე საერთო გადასახადი. გადასახადების გადახდა ხდებოდა პირად ქონებაზე და მიწაზე მდებარე შენობებზე.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა რაციონალური საგადასახადო სისტემა, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ევროპულ ქვეყნებში ადმინისტრაციული სახელმწიფოებრიობა განვითარდა. გადასახადებზე დემოკრატიის განვითარებამ იმოქმედა. 1215 წელს ინგლისში შემოიღეს „თავისუფლებათა ქარტია“, სადაც ჩაწერილი იყო, რომ გადასახადებს შემოიღებდნენ მხოლოდ მაშინ თუ მოსახლეობა იქნებოდა თანახმა.

მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა დიდი ფრანგული რევოლუციის შემდეგ. შვეიცარიასა და ავსტრიას, ნიდერლანდებს და ესპანეთს, ინგლისსა და მის კოლონიებს, კაზაკებსა და პოლონეთს შორის კონფლიქტის მიზეზი გადასახადები გახდა.

ისევე, როგორც რომში, XVII-XVIII საუკუნეების სახელმწიფოებშიც შემოსავლების შემოსვლა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით ხდებოდა. პირდაპირი გადასახადები საშემოსავლო გადასახადზე და სულადობაზე მოდიოდა, რომელიც 10-15% იყო. სასულიერო პირები და დიდგვაროვნები გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ. აქედან გამომდინარე მთელი საგადასახადო ტვირთი გლეხებზე და ბურჟუაზიაზე ნაწილდებოდა. არაპირდაპირი გადასახადი იყო აქციზი, რომელიც 5%-დან 25%-მდე ფარგლებში არსებობდა. იმის მიუხედავად, რომ გადასახადებით ხაზინაში მნიშვნელოვანი შემოსავლები შედიოდა, ეს მაინც ამუხრუჭებდა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

XIX საუკუნიდან ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლებიდან ამოღებული გადასახადები სახელმწიფო შემოსავლების მთავარ წყარო გახდა. ახალი ეკონომიკური წყობილების ჩამოყალიბებით შემოსავლის ერთადერთი წყაროს, მიწის ნაცვლად, გაჩნდა შემოსავლის და სიმდიდრის ბევრი სახეობა. წარმოების გაფართოებით და ეკონომიკის ზრდით გადასახადები ახალ ეტაპზე გადავიდა.

გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს სპეციფიკურობას და მათი ეკონომიკური განვითარების საფეხურებს. ყველაფერი ძალიან ცვალებადი ხასიათისაა. საგადასახადო სისტემა ქვეყნის და ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ უნდა იცვლებოდეს.

ეკონომისტებს დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდათ კითხვა: ბიუჯეტის ფორმირება ფისკალური მეთოდებით უნდა ხდებოდეს თუ უნდა ხდებოდეს მეწარმეობის სტიმულირება და საგადასახადო ბაზის გაფართოება გადასახადების შემცირებით? რომელია სწორი გზა?

სახელმწიფოს ესაჭიროებოდა არამარტო ორგანიზებული საგადასახადო სისტემა, ასევე დაბეგვრის მეცნიერული თეორიები. სახელმწიფოებმა დაიწყეს გადასახადების

მეთოდის ბუნების და პრობლემების შესწავლა. ამ თეორიის შემქმნელად ითვლება ცნობილი მეცნიერი და ეკონომისტი ადამ სმიტი, რომელმაც ჩამოაყალიბა საგადასახადო სისტემის პრინციპები. იტალიელი ფილოსოფოსის თომა აქვინელის თეორიის გასასწორებლად სმიტი ამტკიცებდა, რომ გადამხდელისთვის გადასახადები - არა მონობის, არამედ თავისუფლების ნიშანია. ადამ სმიტის ნაშრომი „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ“, რომელიც 1776 წელს გამოიცა, განსაზღვრავდა დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, რომელთაც მნიშვნელობა დღემდე არ აქვთ დაკარგული. ეს პრინციპებია:

✓ **სამართლიანობის პრინციპი** - სახელმწიფო მოხელეები ვალდებული არიან თავისი შესაძლებლობების შესაბამისად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს შენახვაში, ანუ შემოსავლების შესაბამისად, რამდენადაც სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით და დაცვით. (ა. სმიტი ... 1938)

✓ **განსაზღვრულობის პრინციპი** - გადასახადი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ყოველმა პირმა, უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და არა შემთხვევითი. გადახდის ვადა, გადახდის მეთოდი, გადასახადის თანხა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრული გადამხდელისათვის. (ა. სმიტი ... 1938)

✓ **მოხერხებულობის პრინციპი** - ყოველი გადასახადი უნდა იქნას ამოღებული იმ დროს და იმ ხერხით, როგორც და როდესაც გადამხდელისათვის იქნება მოსახერხებელი მისი გადახდა. (ა. სმიტი ... 1938)

✓ **ეკონომიის პრინციპი** - ყოველი გადასახადი იმგვარად უნდა იყოს ჩაფიქრებული და დამუშავებული, რომ აკავებდეს მოსახლეობის ჯიბიდან იმაზე ნაკლებს, რაც მას მოაქვს სახელმწიფო ხაზინისათვის. არაგონივრული გადასახადები ქმნის კონტრაბანდის დიდ რისკს. (ა. სმიტი ... 1938)

სახელმწიფოებისთვის შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ამოღებული გადასახადები.

საგადასახადო სისტემაში ყველა სიახლე გადამხდელის მხრიდან ყოველთვის იწვევს წინააღმდეგობას, ახალი გადასახადი მიაჩნიათ უსამართლოდ და

არაგონივრულად. როგორც გალაქტიონი ამბობდა, „სადღაც რაღაცაში“ ისინი მართლები იყვნენ, ვინაიდან იდეალური გადასახადი არ მოიძებნება, შესაბამისად დღემდე მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის რეფორმირება. ეკონომისტები და საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები მუდამ ცდილობენ მოიფიქრონ ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც მოახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფულადი რესურსების მობილიზებას სახელმწიფო ბიუჯეტში და აგრეთვე არ დააბრკოლებს ქვეყანაში ეკონომიკურ აქტივობას.

მე-XIX საუკუნის ამერიკელი ეკონომისტის გ. ჯორჯის თეორიის მიხედვით მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მიწაზე გადასახადის გარდა სხვა ყველა გადასახადის გაუქმებაა საჭირო. ამ თეორიის მხარდაჭერისთვის მრავალი არგუმენტი იქნა მოძიებული, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა მისი სრულად მიღება.

პრაქტიკული გამოცდილებიდან გამოდინარე გამოჩნდა, რომ გადასახადების შემცირება შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთაც ძლიერი ეკონომიკური საფუძველი აქვთ. გადასახადების შემცირებით წარმოების ზრდა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მომავალში მოხდება შემცირებული საგადასახადო შემოსავლების დროებითი კომპენსირება. წამყვანი ქვეყნები ამ პრინციპით ქმნიან საგადასახადო პოლიტიკას. საგადასახადო რეფორმები, რომლებიც განხორციელდა მე-XX საუკუნის 80-90-იან წლებში, დაფუძნებული იყო საქმიანი აქტივობის სტიმულირებაზე და კაპიტალის დაჩქარებულ ზრდაზე. დაიკლო საგადასახადო განაკვეთებმა კორპორატიულ შემოსავლებზე (იაპონიაში 42%-დან 40%-მდე შემცირდა, დიდ ბრიტანეთში 45%-დან 35%-მდე შემცირდა და აშშ-ში 46%-დან 34%-მდე შემცირდა). აგრეთვე შემცირდა ფიზიკური პირების მიერ მიღებულ პირად შემოსავლებზე დაწესებული გადასახადების ზედა ზღვარი, გაფართოვდა დაუბეგრავი შემოსავლების დიაპაზონი. მაგრამ პირდაპირი გადასახადების შემცირება კომპენსირდება არაპირდაპირი გადასახადების ზრდით. მაგალითად - დღგ. გაიზარდა საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი და გამკაცრდა სანქციები და პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დამრღვევებისთვის.

თ. რუხველტის აზრით, „სახელმწიფოს მიზანი თავისი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ერის მატერიალური წინსვლა და კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ არის მიღწეული, თუ მას მივყავართ თითოეული მოქალაქის მორალურ და მატერიალურ კეთილდღეობამდე.“ (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 24)

კეთილდღეობის ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის შემადგენელ ნაწილს, რომლის კვლევის ობიექტად სხვადასხვა ეკონომიკური სისტემების სოციალური მდგომარეობა გვევლინება. რესურსების განაწილების შესაფასებლად გამოიყენება „პარეტო-ეფექტიანობის“ კატეგორია. რესურსები „პარეტო-ეფექტიანობის“ მიხედვით მხოლოდ მაშინ ნაწილდება, როდესაც ინდივიდს არ შეუძლია გამდიდრება ისე, რომ სხვა პირის მატეალურ მდგომარეობას ზიანი არ მიადგეს. „პარეტო-ეფექტიანობა“ ეკონომიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ეკონომისტთა ათვლის წერტილია. კონკურენტული ეკონომიკა რესურსების ეფექტიან განაწილებას „ავტომატურად“ ახორციელებს, რაც არ საჭიროებს ცენტრალიზებულ მმართველობას, რასაც თავის მხრივ, მოწმობს ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ თეორია.

კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე ძირითადი თეორიის შესაბამისად, საზოგადოება თუ მიზნობრივად გამოიყენებს მობილიზებულ ფულად სახსრებს, შემდგომში კი ხალხს მისცემს ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობის საშუალებას დასაშვებია, რესურსები გაანაწილოს „პარეტო-ეფექტიანობის“ მიხედვით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სახელმწიფო მაქსიმალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს, თუ იგი შემოსავალს სათანადოდ გადაანაწილებს, ბაზარს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს, თავად კი მას განერიდება.

სახელმწიფოს მონაწილეობას ეკონომიკაში აქვს გლობალური და კონკრეტული მიზნები. აღნიშნული მიზნების მიღწევა თავის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა საბაზრო მექანიზმის და კონკურენტული გარემოს წარმოქმნისა და განვითარებისთვის. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია

სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებასთან, რომლებიც უზრუნველყოფს საბაზრო სუბიექტების ურთიერთობის რეგლამენტირებას. (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 31)

2. მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინამძღვრების შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მთავრობისგან ეკონომიკის სტრუქტურული რეორგანიზაციის და რეგიონების სპეციალიზაციის, ინფლაციასთან და უმუშევრობასთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 31)

3. მოსახლეობის სოციალური დაცვის მოდელის შექმნა. ამ ამოცანის დასმა და გადაწყვეტა მოითხოვს მოსახლეობის სოციალური დაცვის წყაროების მოძიებას, რაც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს. (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 31)

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები იყოფა ორ სხვადასხვა სახეობად: ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების მეთოდებად. (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 35)

პირდაპირი მეთოდის რეალიზაცია ხდება ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევით. (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 35)

არაპირდაპირი რეგულირების მეთოდი გულისხმობს სახელმწიფო ზემოქმედებას ეკონომიკაზე მის მიერ შემუშავებული „თამაშის წესებით“, იმ კანონებით, დებულებებითა და წესებით, რომელიც არეგულირებს საკუთრების უფლებას, უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს მეწარმეობის განვითარებისა და კონკურენტული გარემოს ფორმირებისთვის. (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 36)

საგადასახადო დაბეგვრის იდეალურ სისტემას დღემდე ეძებენ, რომელიც ალბათ უსასრულოდ გაგრძელდება, იქედან გამომდინარე რომ საგადასახადო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს თავისებურებებს, მის ეკონომიკურ განვითარების დონეს და მოქალაქეთა ცხოვრების წესს.

დღეს საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირდაპირ და პროგრესულ გადასახადებს. პროგრესული გადასახადი გულისხმობს შემოსავლის ზრდის პირდაპირპროპორციულად საგადასახადო განაკვეთის მატებას. განვითარებულ სახელმწიფოებში საგადასახადო კანონმდებლობა და სისტემა მაქსიმალურად არის მორგებული საზოგადოების ინტერესებზე. მოხდა გადასახადების დიფერენცირება, ორი ძირითადი პრინციპით: **მისაღები სარგებლის პრინციპით; გადახდისუნარიანობის პრინციპით.**

სახელმწიფო სექტორში ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე. ეკონომიკის ცენტრალიზებულ-გეგმიანი სისტემის პირობებში საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემა, რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმს და შესაბამისად, არ საჭიროებდა დამოუკიდებელ საგადასახადო პოლიტიკას და სისტემას. 2. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილის ამოღება ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით, ყოველგვარი საგადასახადო ბერკეტებისა და კანონმდებლობის უგულებელყოფით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა საქართველო დაადასტურა საბაზრო ეკონომიკაზე გადასავლის რთულ გზას და სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მთელი სისრულით წამოიჭრა მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა, თავისთავად დღის წესრიგში დადგა საგადასახადო სისტემის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება მოითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას. სწორედ 1993 წლის დეკემბერში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი), რომლის ძირითადი მიზანიც და

დანიშნულებაც სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად გაამარტივა საგადასახადო სისტემა, რაც გადასახადების რაოდენობის 18-დან 7-მდე შემცირებასა და საგადასახადო განაკვეთის კლებაში გამოიხატა. კერძოდ საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთის ნაცვლად (12%-დან 20%-მდე) შემოღებულ იქნა ერთიანი 12%-იანი განაკვეთი, სოციალური გადასახადის განაკვეთი შემცირდა 33%-დან 20%-მდე, დამატებული ღირებულების გადასახადი კი 20%-დან 18%-მდე. საგადასახადო შეღავათებისა და საგადასახადო სტიმულების ფართო სპექტრის გაუქმებამ დადებითად იმოქმედა საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე.

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავდა: 1. გადასახადების რიცხოვნობის შემცირებითა და დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესებით ეროვნული ეკონომიკის ზრდისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნას. 2. საგადასახადო კულტურის ამაღლებას. 3. საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას და 4. ბიზნესის მხარდაჭერას.

თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადები ვერ შეასრულებს განვითარებული ქვეყნის მოთხოვნილებებს, კარგად მოწესრიგებული, გამართლებულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემის მეშვეობით, რომელშიც პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების თანამედროვე პირობებს, ეფექტიანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება შეუძლებელი გახდება. მთავარია განხორციელდეს:

- ინტეგრაციულ ეკონომიკურ პროცესთა განვითარების სტიმულირება სახელმწიფოებს შორის.
- ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა.
- დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისობა მინიმალურ სამომხმარებლო კალათის დონესთან.

- გადასახადის გადამხდელისა და გადასახადის ამკრეფთათვის პარტნიორული ურთიერთობების მიღწევა, რომლის ამოსავალი წინაპირობა იქნება საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და არა ადმინისტრირება.

- საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობის უზრუნველყოფა პირდაპირი გადასახადების სასარგებლოდ.

- საგადასახადო სისტემის მუშაკთა ეფექტიანი სტიმულირების წესების დანერგვა.

- საგადასახადო სამსახურების თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, სადაც მოთავსებული იქნება თითოეული გადამხდელის ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი კომპიუტერული დოკუმენტაცია, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად გამოვლინდეს დაგვიანებული და გადაუხდელი გადასახადები. ამასთან აუცილებელია საგადასახადო სტატისტიკის სამსახურის შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირებას ხელს უშლის ერთიანი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებთან მოწყვეტით ფუნქციონირება. არადა, საგადასახადო სისტემა ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ზემოქმედების ერთ-ერთი არსებითი ინსტრუმენტია.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირება მეტად აქტუალურია. საქართველოში საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით საჭიროა გავითვალისწინოთ: წარმოების რეგიონალური დიფერენციაცია ძირითადი პარამეტრების მიხედვით, აგრეთვე ბუნებრივი და გეოგრაფიული რენტის ამოღებისა და გადანაწილების საკითხები, რისთვისაც შემოღებული უნდა იქნეს გადასახადი დეპრესიული რეგიონების მხარდასაჭერად. ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგებისთვის. ბიუჯეტის დანაკარგების კომპენსირება საგადასახადო შეღავათების სისტემის სრულყოფით.

საქართველოს საგადასახადო სისტემამ ჩამოყალიბება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მისი სრულყოფის პროცესი, ვინაიდან სწორი საგადასახადო სისტემა აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

1997 წლიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

საქართველოს სს კოდექსის მიხედვით **გადასახადი** არის ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში (შემდგომში – სახელმწიფო ფონდი) სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, შესაბამისად ჩამოყალიბდა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები:

1. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა. საშემოსავლო გადასახადი;
- ბ. მოგების გადასახადი;
- გ. დამატებული ღირებულების გადასახადი;
- დ. აქციზი;
- ე. ქონების გადასახადი;
- ვ. მიწის გადასახადი;
- ზ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
- თ. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
- ი. სოციალური გადასახადი;
- კ. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
- ლ. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაზინძურებისათვის;
- მ. გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

2. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა. გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ბ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
- გ. საკურორტო გადასახადი;
- დ. სასტუმროს გადასახადი;
- ე. რეკლამის გადასახადი;
- ვ. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის. (საქართველოს

საგადასახადო კოდექსი ... 2003)

ნებისმიერ ქვეყანაში გადასახადების ამდენი სახეობა მნიშვნელოვან ტვირთს წარმოადგენს და მისი აკრეფა გადასახადის გადამხდელებისგან კიდევ უფრო რთულდება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

2004 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად შემუშავებულ იქნა საგადასახადო სისტემის სრულიად ახალი სახე და განხორციელდა გადასახადების როგორც რაოდენობრივად აგრეთვე პროცენტულად შემცირება, რომელიც ქმნიდა ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას. დაწესებული იქნა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების შემდეგი სახეები:

1. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა. საშემოსავლო გადასახადი;
- ბ. მოგების გადასახადი;
- გ. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგგ);
- დ. აქციზი;
- ე. იმპორტის გადასახადი.

2. ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ა. ქონების გადასახადი;
- ბ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი ... 2010)

საქართველოში არ არსებობს ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკა. არ მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის განვითარების თეორიული კვლევები. აგრეთვე ხშირად ხდება საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები, რომლებიც არ არის განპირობებული ანალიზებზე დაყრდნობით. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია საგადასახადო ორგანოში ხშირად ცვალებადი ხელმძღვანელი პირების პირადი გადაწყვეტილებების მიზეზით. რატემაუნდა ეს ყველაფერი ქვეყანაში მეწარმეების განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს და მნიშვნელოვნად ნელდება ეკონომიკური ზრდა.

სხვადასხვა სახელმწიფოში საგადასახადო სამართლიანობის სხვადასხვა პრინციპი და მათი შერეული ვარიანტი მოქმედებს, საქართველოში დაკანონებულია ერთი პრინციპი და აკრძალულია ალტერნატივები.

გამოიყოფა საგადასახადო სამართლიანობის ორ ფართო პრინციპი:

1. **ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი** - ეს პრინციპი მოსახლეობის განსხვავებულ ეკონომიკურ პირობებს არ ითვალისწინებს და ერთნაირ საგადასახადო განაკვეთს აწესებს.

2. **ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი** - ეს პრინციპი მოსახლეობის არათანაბარ ეკონომიკურ პირობებს ითვალისწინებს და სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა განაკვეთებით ბეგრავს.

სიღარიბის აღმოსაფხვრელად და სოციალური უთანასწორობის შედარებით შესამცირებლად ვერტიკალური პრინციპის საგადასახადო სისტემა გამოიყენება, შესაბამისად საგადასახადო ტვირთი დაბალ შემოსავლიან და მაღალ შემოსავლიან ჯგუფებს შორის უფრო მეტადაა გადანაწილებული.

„ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ პირდაპირი მიზანი არის რომ ეკონომიკური ელიტისთვის შეიქმნას გარანტიები, იმისთვის, რომ არასდროს მოუხდეთ საგადასახადო „ტვირთის“ გადანაწილება. მათ სურთ, რომ საკუთარმა საქონელმა, რომელიც უმეტესწილად იმპორტირებულია, იმომრავს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობიდან ამოღებული გადასახადებით შექმნილი ინფრასტრუქტურიდან, სურთ

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო მომსახურებების მიღება, სურთ საკუთრების დაცვა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, სურთ დერეგულირებული საფინანსო სისტემის უზრუნველყოფა მოსახლეობის უფრო მოქნილად გასაყვლევად, ეფექტური აღსრულების ბიუროები და ა.შ. მაგრამ არ სურთ გაიღონ თავისი წილი შენატანები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში იქნა ჩაწერილი და გამოცხადდა, რომ მაღალშემოსავლიანებს არ აკისრიათ სოციალური პასუხისმგებლობა მათ წინაშე ყველა სხვას აკისრია პასუხისმგებლობა, რომ მოამარაგონ ყველაფრით, რომ გამდიდრდნენ და იყვნენ დაცულები.

გადასახადების ბუნება ის არის, რომ მას გავცემთ ფულადი ფორმით და მისგან შედეგებს არაფულადი ფორმით ვიღებთ - ვიღებთ ჯანდაცვის სერვისებს, ვცხოვრობთ შედარებით უსაფრთხო გარემოში, ვიყენებთ ინფრასტრუქტურას, ვსარგებლობთ რეკრეაციული ზონებით, ვიღებთ განათლებას, ვცხოვრობთ ცივილიზებულ საზოგადოებაში და ა.შ. ეს არის ერთგვარი „ოპტიკური ილუზია“, რის გამოც გვიჭირს დავინახოთ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადების უკუგება.

თავი II. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ფორმირება- ადმინისტრირების კონცეპტუალური საფუძვლები

2.1 გადასახადები, როგორც საზოგადოებრივი დოვლათისა და სახელმწიფო სექტორის ძირითადი აქტორი

ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება არის გადასახადებით დაბეგვრა, რომელიც ასახავს სახელმწიფოსა და სამეწარმეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს და დონეს, აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შეფასებაში. გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე ზემოქმედებას ბიზნესგარემოში არსებული პირობების და ფაქტორების ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, გადასახადების სახელმწიფო მართვის სამართლებრივი მექანიზმი წარმოადგენს თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც განაპირობებს ყველა სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებისას. აქვ განვიხილავთ ძირითად პრინციპებს:

➤ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო და უპირობო ფულადი შენატანები;

➤ გადასახადების ადმინისტრირება უნდა იყოს ეფექტური და მარტივი;

➤ გადასახადები უნდა იყოს ყველასთვის სამართლიანი, რაც გულისხმობს, რომ ერთიდაიგივე დასაბეგრ ობიექტზე დაწესებული უნდა იყოს თანაბარი გადასახადები;

გადასახადის გადამხდელის მხრიდან ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს ჩადენილი სამართალდარღვევის ადეკვატური.

სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ბიზნესგარემოს ფორმირება და ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია, ვინაიდან სახელმწიფო განსაზღვრავს თამაშის წესებს და ერთერთი მთავარი განმსაზღვრელია საგადასახადო სისტემა, რომელიც გადასახადების შემოღების, შეცვლის, გაუქმების, გადახდის პრინციპების, მეთოდების და ფორმების, საგადასახადო ორგანოების, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახეების და საგადასახადო კონტროლის ერთობლიობას წარმოადგენს. დაბეგვრის თეორიის შესწავლა აჩვენებს, რომ არ არსებობს ისეთი თეორია, რომელიც ყველა სახელმწიფოში საგადასახადო სისტემის ფორმირებისთვის გამოდგებოდა. მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბევრ სახელმწიფოში დაბეგვრის მეთოდოლოგიად გამოიყენება სამივე პრინციპის ურთიერთშეთავსების კეინსური სხვადასხვა ვარიანტებით. პირველი მათგანი გამოიყენება ნეოკეინსიანიზმის სახით, მაგრამ ეს ორი თეორია იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მეცნიერები აღარ ჰყოფენ მათ. კლასიკური და კეინსური შეხედულებების შეჯერება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და დაბეგვრის საკითხებისა შეიმჩნევა როგორც, ცნობილი ეკონომისტების მხრიდან, ასევე სახელმწიფო მოხელეების მხრიდანაც, რომლებიც აღნიშნული პრობლემების დარეგულირებით არიან დაკავებული.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის პოლ სამუელსონის აზრით, ეკონომიკისთვის ორმაგი დაბეგვრა დამანგრეველია.

ნებისმიერ სახელმწიფოში ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი საგადასახადო სისტემაა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს სამომხმარებლო ფასებზე და სხვა მაჩვენებლებზე. სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად აუცილებელია ფინანსური რესურსების მობილიზება, რომელსაც ხელისუფლება საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით ახორციელებს. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზება ემსახურება სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას და ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრირების საფუძველზე. მასში შემდეგი ელემენტებია:

➤ **დაგეგმვა** - სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ერთერთი მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის დამტკიცება, რომელიც ყოველწლიურად მიიღება და წარმოადგენს დეტალურ გეგმას გასაწევი ხარჯების და შემოსავლების შესახებ;

➤ **საგადასახადო რეგულირება** - სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი მექანიზმით გადასახადების საშუალებით ხორციელდება ეკონომიკაზე ზემოქმედება და შესაბამის ბიზნესექტორში პროცესების სტიმულირება ან შენელება;

➤ **საგადასახადო კონტროლი** - აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გადასახადის გადამხდელებიდან გადასახადების ამოღებისათვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმის არსებობა. ასეთი მექანიზმებია ადმინისტრირების მეთოდები, იძულებითი ღონისძიებების გატარება და სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის უპირობო ამოცანა არის სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება. მიმზიდველი და მოწესრიგებული ბიზნეს გარემო უზრუნველყოფს სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, რითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის მდგომარეობა. საგადასახადო პოლიტიკა ყოველთვის დისკუსიის საგანი იყო ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის, რომელიც თავის აქტუალობას არც თანამედროვე ეტაპზე კარგავს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მდგომარეობა უკანასკნელ წლებში ერთგვარი პოლემიკის საგანია, შესაბამისად გადასახადების მართვას ეკონომიკის გამართულ ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სახელმწიფო ხარჯების ზრდა ობიექტურია და სასარგებლოა ქვეყნის განვითარებისთვის. ნებისმიერ ქვეყანაში მოქალაქეები მუდმივად უნდა აკონტროლებდნენ გადასახადების ოდენობას და აღნიშნული მოცულობის სარგებლობას.

გადასახადის გადამხდელისთვის და მეწარმეებისთვის ნებისმიერი მოცულობის გადასახადი ყოველთვის ტვირთს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, გარკვეული რაოდენობის გადასახადის ამოღება და მისი საშუალებით საზოგადოებრივი დანიშნულების საქონლის ან მომსახურების წარმოება სასარგებლო და აუცილებელია სამეწარმეო სუბიექტებისთვის. აქედან გამომდინარე, სამეწარმეო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლიდან გარკვეული ნაწილის გაღება საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისთვის, ისევ კერძო სექტორის ინტერესებშია.

საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ სახელმწიფოს როლი ბიზნეს სექტორის რეგულირებაში და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში სულ უფრო აქტუალური ხდება. დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს ჩარევა ბიზნეს პროცესებში აუცილებლობას წარმოადგენს. მსოფლიოს სხვადასხვა კრიზისების დროს (მე-20 საუკუნის 30-იანი წლების და 2008 წლის ფინანსური კრიზისი) ნათლად გამოჩნდა მისი როლი. აღნიშნული შემთხვევები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება შინაარსობრივად, მაგრამ ორივე შემთხვევაში სახელმწიფოებმა უდიდესი როლი შეასრულეს კრიზისის გადაჭრაში.

სახელმწიფოს მიერ ბიზნეს პროცესებში ჩარევის და რეგულირების ნათელი დადასტურებაა დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების დარეგულირება ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით. საგადასახადო პოლიტიკის განხილვისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება მის გამართულ და კეთილსინდისიერ ადმინისტრირებას, ვინაიდან კორუფციის გამოვლენის ერთერთი ფორმა სწორედ საგადასახადო დანაშაულია, როცა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ქრთამის აღების სანაცვლოდ გადასახადებით დასაბეგრ ოპერაციებზე თვალს ხუჭავენ. სამეწარმეო სუბიექტები, რომლებიც არიდებენ თავს გადასახადების გადახდას „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მათი ბუნების შესწავლა შეფასებაზე არაერთი კვლევა არის ჩატარებული.

საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფა, იგივე ფისკალური ფუნქცია, ასევე ეკონომიკური

განვითარების სტაბილურობის თვალსაზრისით ეკონომიკური ფუნქცია, რომელიც იძლევა შემოსავლების და ფინანსური რესურსების განაწილების შესაძლებლობას. ეკონომიკურ და ფისკალურ მახასიათებლებთან ერთად, ასევე აქვს მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა. გადასახადების მართვა არის ის ძირითადი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მთავრობა „იჭრება“ პრაქტიკულად თითოეული მეწარმის საქმიანობაში. სახელმწიფო ხარჯებით და გადასახადების მართვით პირდაპირ მონაწილეობს მოქალაქეების შემოსავლების ფორმირებაში. გადასახადების არსი ვლინდება მათ ფუნქციებში. თითოეული ფუნქცია მკაფიოდ აჩვენებს მისი როლის აუცილებლობას საზოგადოებაში. გადასახადები შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტია, ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფუნქციების სწორი მართვის შემთხვევაში ხორციელდება შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის სტიმულირება. აქედან გამომდინარე, გადასახადები, როგორც სამეწარმეო ურთიერთობების და ბიზნეს პროცესების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს: **მარეგულირებელ, ფისკალურ და სოციალურ ფუნქციებს.**

➤ **მარეგულირებელი ფუნქცია** - გადასახადების საშუალებით ეკონომიკის მართვასთან და ბიზნეს პროცესებზე ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული. გადასახადები ეროვნული შემოსავლის გადანაწილებაში აქტიურად მონაწილეობენ ასტიმულირებენ და ანელებენ სამეწარმეო ტემპებს, აძლიერებენ და ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ და ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. ეკონომიკური პროცესების შენელებისთვის მოთხოვნა-მიწოდების მოცულობაზე ზემოქმედებით ხელისუფლება სამეწარმეო სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ახდენს გავლენას. შეღავათების დაწესებით, საგამონაკლისო სისტემის მეშვეობით, სახელმწიფო სტიმულს აძლევს ეკონომიკის ცალკეულ დარგებს, ანუ ხდება დასაბეგრი ობიექტის შეღავათიან პირობებში მოქცევა, საგადასახადო განაკვეთის შემცირება. მარეგულირებელი ფუნქცია ვლინდება გადასახადების როგორც მასტიმულირებელი, ისე შემზღუდავი ფორმით.

მასტიმულირებელი ფუნქციის მოქმედების პერიოდში ხორციელდება სხვადასხვა დარგის (დასაქმება, ტურიზმი, საინვესტიციო საქმიანობა, მცირე ბიზნესი) ხელშეწყობა და სტიმულირება გადასახადებით დაბეგვრის შეღავათიან პირობებში მოქცევის სახით. შემზღუდველი ფუნქცია გულისხმობს მაღალი საგადასახადო განაკვეთებს, შეღავათების გამოუყენებლობას, ზოგიერთი საქონლის მოხმარების შეზღუდვას, ზოგადად შეზღუდვებს სხვადასხვა დარგისთვის. მარეგულირებელი ფუნქციის არსებობის პერიოდში განაკვეთების ზრდის ან შემცირების შემთხვევაში ეფექტიანი საგადასახადო დატვირთვა აჩვენებს, თუ ვინ სარგებლობს ამ ცვლილებებით და ვისზეა რეალურად საგადასახადო ტვირთი. ცვლილებების ეფექტის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ საგადასახადო შეღავათების დაწესებით ინვესტორისათვის მიმზიდველი ხდება კონკრეტული სეგმენტი, სადაც კაპიტალის შემოდინება იზრდება. შესაბამისად ამ სექტორში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულება იზრდება. მარეგულირებლის ქვეფუნქციად ითვლება ეროვნული წარმოების დაცვის ფუნქცია. გადასახადის ამ ფუნქციის არსი კარგად გამოიხება დაწესებულ საბაჟო გადასახადში. მისი ამოცანა არის ფისკალური ეფექტის მიღება, ექსპორტსა და იმპორტს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა. იმპორტის დროს საბაჟო გადასახადის გამოყენება დაკავშირებულია, ერთის მხრივ, ეროვნული წარმოების დაცვისკენ და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან. ფისკალურმა ფუნქციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებაში. გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კულტურა და მათი ნდობის ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ფისკალური ფუნქციის ეფექტიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო მარეგულირებელი ფუნქცია აჩვენებს სახელმწიფოს ურთიერთობას ბიზნეს სექტორთან.

➤ **ფისკალური ფუნქცია** - ყველა სახელმწიფოსთვის ძირითადი და ამოსავალი ფუნქციაა. ის გულისხმობს გადასახადის გადამხდელის შემოსავლებიდან გარკვეული ნაწილის ამოღებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სახელმწიფოს მიერ გადასახადის ამოღება ბიზნეს სექტორის მხრიდან აღქმული უნდა იქნას ისე, რომ ის ემსახურება კეთილდღეობის შექმნას და არ მთავრობის უზრუნველყოფისთვის

ამოღებულ ფულად სახსრებს. გადასახადების ფისკალური ფუნქციის საშუალებით მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფულადი რესურსების მობილიზებას, რომლითაც ხორციელდება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ამოცანების შესრულება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. ამისთვის საჭიროა სოციალური სფეროების, თავდაცვის, მართლწესრიგის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება, რაც საბოლოო ჯამში აისახება ბიზნეს სექტორის და საზოგადოების კეთილდღეობაზე. ძირითადად გადასახადების ამოღება სახელმწიფო ხარჯების დასაფარად ხორციელდება, ზოგ შემთხვევაში გადასახადის დაწესება დაკავშირებულია ფისკალურ მიზნებთან და ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, გადასახადების ფისკალური ფუნქცია ეკონომიკაზე ზემოქმედების ისეთი ინსტრუმენტია, რომელიც აჩვენებს სახელმწიფოს ჩარევას სამეწარმეო საქმიანობაში.

➤ **სოციალური ფუნქცია** - ეს ფუნქცია გულისხმობს მაღალშემოსავლიანი გადასახადის გადამხდელებიდან ამოღებული გადასახადების დაბალშემოსავლიან სოციალურ ფენაზე გადანაწილებას. ასეთი პოლიტიკით ხელისუფლება ცდილობს გარკვეულწილად გაათანაბროს მოქალაქეებს შორის არსებული უთანასწორო ცხოვრების დონე. განაწილების არათანაბარი დონის გაზომვის ყველაზე ადეკვატური საშუალება არის ე.წ. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც 1912 წელს იტალიელმა სტატისტიკოსმა კორადო ჯინიმ შეიმუშავა. ის ერთგვარი მათემატიკური კონცეფციაა, რომლითაც უთანასწორობა ხშირად პროცენტის სახით 0%-იდან 100%-მდე გამოისახება და 0-დან 1-მდე იზომება.

ჯინის კოეფიციენტის შედარება სახელმწიფოებს შორის საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, თუ რამდენად თანაბრად არის გადანაწილებული ფულადი რესურსები სხვადასხვა ქვეყნებში და როგორია სოციალური თანასწორობის საკითხი. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) სისტემატურად აქვეყნებს სახელმწიფოების ჯინის კოეფიციენტს, რომლითაც აფასებენ მოსახლეობაში სოციალური თანასწორობის დონეს.

გადასახადების ფისკალური ფუნქციის განხილვისას აუცილებელია განვიხილოთ ფისკალური მულტიპლიკატორის ზეგავლენა ეკონომიკაზე. მსოფლიოს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი აჩვენებს ფისკალურ პოლიტიკას და ეკონომიკურ განვითარებას შორის მჭიდრო კავშირს.

ფისკალური პოლიტიკის მიმართულებას მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გადასახადების ზრდა ან სახელმწიფო დანახარჯების შემცირება ნიშნავს ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებას, ხოლო გადასახადების შემცირება ან სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ნიშნავს ფისკალური პოლიტიკის შემსუბუქებას. ფისკალური პოლიტიკის რომელ ინსტრუმენტებზეა ფოკუსირება ძალიან მნიშვნელოვანია. ცალკეული კვლევებით და საერთაშორისო გამოცდილებით ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება წარმატებულად ახდენს გავლენას არა გადასახადების ზრდა არამედ სახელმწიფო ხარჯების შემცირება. შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტურად დაგეგმვისთვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკაზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის შეფასება. ამიტომ უპირველესად უნდა შეფასდეს ფისკალური მულტიპლიკატორის ზომა. ფისკალური მულტიპლიკატორი ასახავს ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიან გავლენას მშპ-ის დონეზე. მშპ-ის ცვლილების ოდენობა ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი კომპონენტის ერთი ერთეულით ცვლილების გავლენით განისაზღვრება, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს ფისკალური პოლიტიკის სასურველი ინსტრუმენტის შერჩევის ეტაპზე. ამ ინდიკატორის შეფასება სახელმწიფოს სპეციფიურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული. მოკლევადიან პერიოდში, სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ ან/და გადასახადების შემცირებამ შეიძლება გაზარდოს მოთხოვნა, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, შესაბამისად გაიზრდება დასაქმების დონეც. სახელმწიფო დანახარჯების კლებამ ან/და გადასახადების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შედეგი, ვინაიდან ამ დროს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მცირდება. გრძელვადიან პერიოდში გამოშვების დონის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სამუშაო ძალა და

კაპიტალი. აქედან გამომდინარე, გადასახადების ან სახელმწიფო დანახარჯების ცვლილება იწვევს მშპ-ის დონის მისი პოტენციური დონიდან გადახრას, რადგანაც ეს ცვლილებები გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტების სტიმულზე განახორციელონ ინვესტიციები თუ დაზოგონ სახსრები. მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ცვლილების გავლენა მოთხოვნაზე შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. **პირდაპირი** ეფექტი ასახავს საქონლის და მომსახურების შესყიდვების ცვლილებას, რომლის ზომა დამოკიდებულია ბიზნეს სუბიექტების აქტივობაზე. მაგალითად, თუ კონკრეტული სუბიექტი ტრანსფერით მიღებული თანხის რაღაც N ნაწილს დახარჯავს დამატებითი საქონლის და მომსახურების შეძენისთვის, გაიზრდება წარმოება, რომ შეძლოს დამატებით გაჩენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე მშპ-ზე ფისკალური ცვლილების პირდაპირი გავლენა N-ს ტოლია. **არაპირდაპირი** გავლენით შესაძლებელია განეიტრალებს ან გაიზარდოს მისი პირდაპირი ეფექტი. მაგალითად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდით, იზრდება წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე. დასაქმების დონის ცვლილება უფრო ზრდის მოხმარებას, და ეს პირები მიღებული შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ისევ საქონლის და მომსახურების შეძენისთვის იყენებენ. არაპირდაპირი ეფექტის განხორციელებას აგრეთვე აქვს გავლენა პირდაპირ ეფექტზეც. მაგრამ მათ შეიძლება საპირისპირო გავლენაც ჰქონდეს. მაგალითად, გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯების გამო შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო განაკვეთები, რითიც მომხმარებელში დაგროვების სტიმული უფრო იზრდება, ვიდრე დახარჯვის. ასეთ შემთხვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები ერთმანეთს ანეიტრალებენ. ფისკალური ცვლილების ეფექტის გასაზომად იყენებენ ფისკალურ მულტიპლიკატორს. ფისკალური მულტიპლიკატორი აჩვენებს მოკლევადიან პერიოდში ფისკალური ცვლილების საფუძველზე მშპ-ის მოცულობის ცვლილებას. ფისკალური მულტიპლიკატორი აჩვენებს მოკლევადიან პერიოდში რა გავლენა აქვს სახელმწიფო დანახარჯების ან საგადასახადო შემოსავლების ერთი ერთეულით ცვლილებას ქვეყნის მშპ-ზე. ფისკალური პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული პირდაპირი ეფექტის ზომა ძალიან

მნიშვნელოვანია. თუ მულტიპლიკატორის ზომა ერთზე მაღალია, მაშინ არაპირდაპირი ეფექტი პირდაპირი ეფექტის გავლენას ზრდის, ხოლო თუ მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლებია, მაშინ არაპირდაპირი ეფექტი პირდაპირი ეფექტის მოთხოვნაზე გავლენის გარკვეულ წილს ანეიტრალებს, თუ მულტიპლიკატორი ნულის ტოლია, მაშინ ეფექტები ერთმანეთს სრულად აბათილებენ, რაც იმას ნიშნავს რომ ფისკალური პოლიტიკის ცვლილება ქვეყნის მშპ-ის ზრდაზე ან შემცირებაზე გავლენას არ ახდენს. ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზისთვის, ფისკალური პოლიტიკის კომპონენტებისთვის მულტიპლიკატორის სიდიდის შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ფისკალური მულტიპლიკატორი აჩვენებს მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე. მისი ზომა მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორისაა: ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა, ფისკალური პოლიტიკის მიმართულება, სახელმწიფო ვალის დონე, ფისკალური ცვლილების ტიპი, მონეტარული პოლიტიკა და სხვა ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფისკალური ცვლილების გავლენა წრფივად კლებადი არ არის, მას ხშირ შემთხვევაში აქვს ამობრუნებული U-ს ფორმა. ფისკალური ცვლილების განხორციელებიდან მეორე წელს ფისკალური მულტიპლიკატორი პირველი წლის მაჩვენებლებთან შედარებით 10-30%-ით უფრო მაღალია. ფისკალური მულტიპლიკატორის ანალიზისას საყურადღებო არის, მისი სიდიდე და ფისკალური პოლიტიკის ცვლილების გავლენის პერიოდულობა. მისი მოკლევადიანი ეფექტი, როგორც წესი 5 წელი გრძელდება. განვითარებული და გარდამავალი ქვეყნების ფისკალური მულტიპლიკატორების ზომა ერთმანეთისგან განსხვავებულია რაც, ასევე მნიშვნელოვანია.

2.2 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ფორმირებისა და ადმინისტრირების თავისებურებანი საქართველოში

საგადასახადო სისტემის ეფექტურობა მისი რეგულირების და მართვის ხარისხზე არის დამოკიდებული. სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა ამ მიმართულებით იმ ამოცანებზეა დამოკიდებული, რომელიც განვითარების კონკრეტულ ეტაპზეა.

დღევანდელ ეკონომიკურ ლიტერატურაში საგადასახადო სისტემის მართვა შეიცვალა სიტყვით საგადასახადო ადმინისტრირება.

საგადასახადო სისტემის მართვა გულისხმობს მისი შემადგენელი ელემენტების სახელმწიფო რეგულირებას. ამაში იგულისხმება გადასახადების შემოღება, დასაბეგრი ობიექტების, დაბეგვრის პრინციპების და პროცედურების, ანგარიშგების ფორმების და გადახდის მეთოდების, გადასახადის გადამხდელების და საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების უფლებების და ვალდებულებების, საგადასახადო კონტროლის შესრულების განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო სისტემის მართვა სამ ძირითად საფუძველს ემყარება: საგადასახადო კანონმდებლობას, საგადასახადო ურთიერთობების სუბიექტების ფორმებს და საგადასახადო კონტროლს.

საგადასახადო ადმინისტრირება საგადასახადო სისტემის მართვის შეზღუდული სფეროა. „ადმინისტრაცია“ - ნიშნავს მართვას, სამსახურს. ადმინისტრაციაში იგულისხმება სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ. ტერმინი „ადმინისტრაციის“ - პირვანდელი გაგებით და მისი თანამედროვე გაგების გათვალისწინებით, საგადასახადო ადმინისტრირება არის სახელმწიფო ორგანოების მმართველობითი საქმიანობა. საკანონმდებლო ორგანოები ადგენენ საგადასახადო ურთიერთობების ძირითად პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებს და შედეგად იქმნება საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო ადმინისტრირების მიზანს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამას განაპირობებს გადასახადების ეკონომიკური ბუნება. დადგენილი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დაწესებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები, რომელსაც შესაბამისი კონტროლის განხორციელებით

ადასრულებენ. საგადასახადო კონტროლის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე აუცილებელია კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე მისი წესების და ფორმების განსაზღვრა. საბაზრო ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების და უფლებების დაცვას გაძლიერებაზეა დამყარებული. ამ პირობებში საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელების ინტერესების დაბალანსებაზე. საგადასახადო ადმინისტრირება სახელმწიფოს ეკონომიკის და საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი ელემენტია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება დისკუსიები მეცნიერებში ამ ტერმინის შინაარსის, მისი ელემენტების, მეთოდების, ფორმების და სისტემაში მისი როლის შესახებ. აქვე განვიხილავთ საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ არსებულ ზოგიერთ განმარტებას:

➤ ფრანგი მეცნიერი ანრი ფაიოლის განმარტებით ადმინისტრირება არის დაგეგმვა, ორგანიზება, მართვა, ზედამხედველობა და კონტროლი;

➤ იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მინიმალური დანახარჯებით გადასახადების დროულად და სრულად ამოღებაზე საგადასახადო კონტროლის მეთოდების თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში.

➤ საგადასახადო ურთიერთობების რეალიზაციის ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, რომელიც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ამოღების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას მოიცავს;

➤ სახელმწიფო შემოსავლების ადმინისტრირება არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის დაცვით ბიუჯეტში ფულადი რესურსების მობილიზაციისაკენ;

➤ საგადასახადო ორგანოების საქმიანობა, რომელთა მიზანია საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება;

სხვადასხვა განმარტებების მიუხედავად, შეიძლება გამოვყოთ ამ ტერმინის მიმართ არსებული ორი მიდგომა: ფართო გაგებით საგადასახადო ადმინისტრირება არის საგადასახადო ურთიერთობების მართვის სისტემა, ხოლო ვიწრო გაგებით -

საგადასახადო ორგანოების მიერ განხორციელებული საგადასახადო კონტროლი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგადასახადო ადმინისტრირება წარმოადგენს განვითარებად სისტემას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, გადასახადების ადმინისტრირება განიმარტება, როგორც „გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში“. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2020: მუხლი 8)

საგადასახადო ადმინისტრირება შინაარსობრივად მეცნიერული და პრაქტიკული პროცესებია. ისტორიული გამოცდილების და ეკონომიკური მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განხორციელდა დაბეგვრის სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება, იგი უზრუნველყოფს საგადასახადო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას. ბიუჯეტის შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყაროა გადასახადები, ხოლო საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობაზე მინშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მიერ ხარჯების გაწევის ვალდებულების შესრულება, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ფისკალური პოლიტიკის ძირითად ბერკეტს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა წარმოადგენს. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც ეკონომიკის განვითარება და ბაზარზე კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სუბიექტების არსებობა, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ფინანსური სტაბილურობა. აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით ერთდროულად უნდა მოხდეს მასტიმულირებელი და ფისკალური ფუნქციების შესრულება.

იმისთვის, რომ საგადასახადო ადმინისტრირების სისტემამ გამართულად იმუშაოს, ამისთვის აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დასაბეგრი ობიექტის, ბაზის, საგნის განსაზღვრა, დეკლარირების პერიოდის, გამოანგარიშების წესის და გადახდის ვადის დადგენა, ეს ყველაფერი მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საგადასახადო კანონმდებლობაში. კანონში ბუნდოვანი ჩანაწერები საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის მიზეზი შეიძლება გახდეს. კანონით დადგენილი წესების შესრულების დადგენისთვის იყენებენ საგადასახადო კონტროლის სხვადასხვა ფორმებს, ხოლო საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას საგადასახადო ორგანოები უზრუნველყოფენ სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებების მეშვეობით.

საგადასახადო სისტემის სტაბილურობა ნიშნავს რომ გადასახადების სახეები, განაკვეთები, შეღავათები, სანქციები რომლებიც დადგენილია ქვეყნის ცოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით იცვლებოდეს, უნდა იყოს მორგებული განვითარების კონკრეტული ეტაპის მოთხოვნებზე, შესაბამისად მისი ცალკეული ელემენტები ხშირად განიცდიან ცვლილებებს. მაგრამ საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის სტაბილურობისთვის ცვლილებები უნდა ხორციელდებოდეს არა წელიწადში რამდენჯერმე ან ყოველწლიურად, არამედ რამდენიმე წელში ერთხელ. სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის სტრუქტურა, საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის ურთიერთობების პრაქტიკა განაპირობებს გადასახადების ამოღების მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობას. საგადასახადო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების რეალიზება საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმით არის შესაძლებელი, რომელიც გულისხმობს გადასახადების შეგროვების წესებს, მათ იძულებით შესრულებას, აგრეთვე საგადასახადო ურთიერთობებში ეკონომიკური ინსტრუმენტების და სტიმულების, ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდების გამოყენებას. საგადასახადო ადმინისტრირება მართვის თეორიის და პრაქტიკის ერთობლიობაა, მისი მთავარი მიზანია ბიუჯეტში მინიმალური დანახარჯების პირობებში საგადასახადო შენატანების

მაქსიმალური ოდენობის მობილიზება. ეს კი მხოლოდ საგადასახადო რეგულირების და კონტროლის მეთოდების ოპტიმალური კომბინაციით არის შესაძლებელი.

სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის სტაბილურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვას და ვალდებულებების შესრულების კონტროლს. ადმინისტრირების ოპტიმალური მექანიზმი გულისხმობს იმ მეთოდების და ხერხების განხორციელებას, რომელიც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულებას და სახელმწიფოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას. საგადასახადო ადმინისტრირების ძირითად მიზანს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელების მხრიდან საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, საგადასახადო ურთიერთობების მოწესრიგება და საგადასახადო კულტურის ამაღლება. საგადასახადო ადმინისტრირების პოლიტიკა ქმნის გადასახადის გადამხდელებს და საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის ურთიერთობის კომპლექსურ სისტემას, მისი მიზანია სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების შესრულების უზრუნველყოფა. საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა პოლიტიკურ ეკონომიკურ ცვლილებებზე უნდა იყოს მორგებული. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის მოდუნება იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, საგადასახადო სამართალდარღვევების რაოდენობის ზრდას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებების შესრულებას. მეცნიერული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ საგადასახადო ადმინისტრირების შემდეგი მახასიათებლები:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში და სოციალურ პროცესებში მონაწილეობა;
- გადასახადების სრულად და დროულად ამოღებაზე კონტროლის განხორციელება, საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვა;
- საგადასახადო ურთიერთობების მართვა, დაბეგვრის სისტემის სრულყოფა;

➤ დაბეგვრის პოლიტიკის ეროვნული და უცხოური გამოცდილების გაზიარება, წესების დოკუმენტური უზრუნველყოფა.

საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია: საგადასახადო ორგანოების სტრუქტურის სრულყოფა, საგადასახადო კონტროლის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარება. აქვე განვიხილავთ საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ძირითად ამოცანებს:

1. პროგნოზირება და დაგეგმვა - სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული ამოცანების პარამეტრების განსაზღვრისათვის აუცილებელია პროგნოზების გაკეთება. საგადასახადო დაგეგმვის ძირითადი ამოცანა არის რეგიონების და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მიხედვით პოტენციალის განსაზღვრა, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებას განაპირობებს. დაგეგმვა ხელს უწყობს გადასახადების ფისკალური ფუნქციის შესრულებას და საგადასახადო შეღავათების დაწესებას.

დაგეგმვის ანალიტიკური სტადიას წარმოადგენს საგადასახადო პროგნოზირება, რომლის საშუალებით ხორციელდება მომავალი გადაწყვეტილებების მიღებისთვის მომზადება. პროგნოზირების და დაგეგმვის ძირითადი ამოცანა არის ფაქტიური საგადასახადო პოტენციალის შესწავლა ცალკეული გადასახადების ბაზის ანალიზის და დასაბეგრი სუბიექტების განსაზღვრის საფუძველზე. მიღებული დამუშავებული ინფორმაციის მეშვეობით განსაზღვრავენ მაქსიმალურ ფისკალურ ეფექტს და საგადასახადო კუთხით შესამოწმებელ ობიექტებს;

2. ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება - ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების გარეშე შეუძლებელია სხვა დანარჩენი ამოცანების შესრულება. საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურად განსახორციელებლად საჭიროა საგადასახადო, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგებების შესახებ ინფორმაცია.

ამ ინფორმაციების ანალიზით განსაზღვრავენ საგადასახადო შემოსავლების ოდენობას გადასახადების სახეების, ბიუჯეტების და გადასახადის გადამხდელების მიხედვით, აგრეთვე ახდება ანალიზი თუ რომელი საგადასახადო კონტროლის მეთოდი იქნეს არჩეული გადასახადის გადამხდელების საქმიანობის შესამოწმებლად: გასვლითი თუ კამერალური შემოწმებები. ინფორმაციის შეგროვებით და მისი ანალიზით ფასდება არსებული სიტუაცია და ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის სრულყოფა;

3. საგადასახადო რეგულირება - საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში სახელმწიფოს მიერ ჩარევის საშუალებებს წარმოადგენს საგადასახადო რეგულირება. დასახული ამოცანების რეალიზება ხდება მთავრობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ საგადასახადო მექანიზმის გამოყენებით. საგადასახადო რეგულირება გულისხმობს დეკლარირების დოკუმენტების შემუშავებას, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირებას, შეღავათების განსაზღვრას, საგადასახადო კონტროლის განხორციელებას კანონმდებლობის დაცვით.

საგადასახადო რეგულირების მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: **მასტიმულირებელ** და **შემაფერხებელ**. მასტიმულირებელი მეთოდებია შეღავათის პერიოდის განსაზღვრა, საგადასახადო დავალიანების გადავადება, გადახდის ვადის გადავადება, საგადასახადო კრედიტის შემოღება, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, შემაფერხებელ მეთოდებს წარმოადგენს საგადასახადო განაკვეთების გაზრდა, ჯარიმების დაწესება, შეღავათების გაუქმება;

4. საგადასახადო კონტროლი - სახელმწიფოს მიერ ფინანსური კონტროლის განხორციელება რომლის ერთერთი სახეა საგადასახადო კონტროლი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებს, მოქმედებებს, პროცედურებს, ანალიტიკური და საკონტროლო საშუალებებს.

თავი III. საგადასახადო რეგულირების არსი და სრულყოფის ინსტრუმენტები

3.1 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების როლი სახელმწიფო ფინანსების ფორმირებაში

თითოეული სოციალურ-ეკონომიკური წარმონაქმნი ხასიათდება სახელმწიფო შემოსავლის თანდაყოლილი სისტემით, ფულადი ურთიერთობების განვითარების დონის, წარმოების რეჟიმის, სახელმწიფოს ბუნების და ფუნქციების გამო.

მთავრობის შემოსავლები ძირითადად წარმოიქმნება გადასახადებით. XX საუკუნემდე აქციზის გადასახადები, საბაჟო გადასახადები და ფისკალური მონოპოლიები დომინირებდა სახელმწიფო შემოსავლების სტრუქტურაში. პირდაპირი რეალური გადასახადები თანდათან უშვებს უფრო მოქნილ პერსონალურ გადასახადებს, ძირითადად საშემოსავლო გადასახადს, აგრეთვე მემკვიდრეობასა და საჩუქრების გადასახადებს და ა.შ.

გარდამავალ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს გადასვლა მბრძანებლური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლისა და ფუნქციების საკითხები მნიშვნელოვანი და სადისკუსიო გახდა.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ანალოგიურად საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მთავარი მიზანია ემსახუროს სამოქალაქო საზოგადოებას და ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, არსებითად გამოდის მოქალაქეთა მიზნების რეალიზაციის დამხმარე ინსტრუმენტის როლში. უნდა ვირწმუნოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა არასოდეს არ არის ორიენტირებული რაიმე ზეადამიანური „უმაღლესი მიზნის“ განხორციელებისკენ, თითოეულს შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესები. იმის გამო, რომ სახელმწიფო კონტროლსდაქვემდებარებული ფენომენია, იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ინდივიდთა ერთობლიობა, რომელიც სარგებლობს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობით. როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ნამდვილ მესაკუთრედ და სუბიექტად

შეიძლება გამოვიდეს ინდივიდები ან მათი გაერთიანებები, კომპანიები, კორპორაციები. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო საზოგადოების სახელით მხოლოდ აგენტის როლში გამოდის.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიას სავსებით მართებული დასკვნა აქვს გაკეთებული იმის შესახებ, რომ საფუძველშივე მცდარია და მიუღებელი მოსაზრება თითქოს თავისუფალ ბაზარს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად წარმატებების მიღწევა შეეძლოს. სახელმწიფოს გარეშე ბაზრის მიერ ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების რეგულირებამ შეიძლება ქაოსამდე მიიყვანოს საზოგადოება. სახელმწიფომ ორიგინალური, თანაც მეცნიერულად დასაბუთებული როლი უნდა შეასრულოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყანაში ქაოსი და ანარქია. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს გააჩნია ეკონომიკური ინსტრუმენტების მთელი არსენალი, რომელთაგან იგი უპირატესად იყენებს საკუთრების ფორმირებისა და კანონების, ფულად-საკრედიტო და ფინანსურ ოპერაციებზე კონტროლისა და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაშვების რეგულირების ინსტრუმენტებს. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომლის გარეშეც არც ერთ ეკონომიკურ სისტემას რაიმე ხელშესახები წარმატებები არ ექნება.

საქართველოში ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის პერიოდში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას დაშვებული შეცდომების შედეგად ვერ იქნა მიღწეუკუ სასურველი უკუგება. ამ შეცდომებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის უგულვებელყოფა, რასაც, თავის მხრივ, ხელი შუწყო მსოფლიოში ცნობილი მონეტარისტული თეორიის სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადებამ.

აუცილებელია საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შეთანაწყობის ოპტიმალური გარემოს არსებობა. საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების (დაგეგმვა, მართვა, ორგანიზაცია) შეთანაწყობის გარემოს მივიჩნევთ

სოციალურად ორიენტირებული ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორად.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ავსებს და ამდენადვე სრულყოფს წმინდა საბაზრო მექანიზმს. დღეისათვის ამგვარ დასკვნას ძალიან ცოტა თუ ხდის საკამათოდ. მაგრამ მთავარ სადისკუსიო თემად კვლავ რჩება საკითხი ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები ფარგლების შესახებ. ამ მხრივ ოპტიმალურობის პრინციპის დაცვის გარეშე ეკონომიკის ნორმალური განვითარება გამორიცხულია, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტება საბაზრო ეკონომიკის ნეგატიურ მხარეებს გააძლიერებს, გადამტებული ჩარევა კი მკვეთრად დასწევს საბაზრო სტიმულირების ქმედითუნარიანობას.

გარდამავალი ეკონომიკის მშენებლობის პროცესში აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური, მეცნიერულად დასაბუთებული საზღვრების დადგენა, ურომლისოდაც საბაზრო ურთიერთობათა შეწონასწორებული განვითარების შესაძლებლობის მინიმიზაცია მოხდება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური აღორძინების ხანგრძლივი ვადით გადაწევას გამოიწვევს.

ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის მასშტაბები, დიდად არის დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკურ მექანიზმზე. თანამედროვე დასავლეთის ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი (სტიგლიცი, გაიგერი, მაიგალი) გამოყოფენ ეკონომიკური სისტემის სამ ძირითად ჯგუფს: 1. საბაზრო ეკონომიკას (დასავლეთის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში); 2. ტრადიციულ გარდამავალ ეკონომიკას (მესამე მსოფლიო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები); 3. ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სსრკ-ის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქვეყნები, ჩინეთი და ზოგიერთი ლათინური ამერიკის ქვეყნები).

ამრიგად, როგორც ითქვა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ოპტიმალური მასშტაბების დადგენა შეუძლებელია თუ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით მაკრო და მიკროეკონომიკური ასპექტები, თავისებურებანი და ტენდენციები სწორად არ იქნა შეფასებული. მხედველობაში გვაქვს კონკრეტული

ვითარების ადეკვატური მექანიზმების გამოყენება ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში.

როგორც ცნობილია, დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს შერეული ეკონომიკა, რომელშიც სახელმწიფო განსაზღვრულ როლს ასრულებს. „ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ საზოგადოება როგორ მართავს თავის შეზღუდულ რესურსებს“. თეორიულად სახელმწიფო ეკონომიკაში ჩაერევა უპირატესად ბაზრის არასრულყოფილების დროს, როდესაც მის ძალღონეს აღმატება რესურსების ეფექტიანი გადანაწილება, სახელმწიფოს ჩარევის მიზანია ფასების ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის ეფექტიანობის ამაღლება. სწორედ ბაზრის უსუსურობა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის უმნიშვნელოვანესი თეორიული გამართლებაა.

ბაზრის არასრულყოფილების მიზეზებს შორის საყურადღებოა საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პრობლემები, სრული საბაზრო ინფორმაციის არარსებობა როგორც მყიდველების, ისე გამყიდველების მხრივ, აგრეთვე მონოპოლიების ძალა. ყოველთვის, როცა ბაზარი არასრულყოფილია, სახელმწიფო ხელისუფლების როლი გამოიხატება ბაზრის პირობებში განაწილების ეფექტიანობის ზრდასა და მისი სამართლიანობის ხარისხის ამაღლებაში.

ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა, რომ იწვევს მოქალაქეთა ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მეორე ნაწილის გაუარესებას, ეს არავისთვის საეჭვო არ არის, მაგრამ მთავარია პასუხი გაეცეს კითხვას, სახელმწიფოს ჩარევა იწვევს თუ არა ერის საერთო კეთილდღეობას? ჯერერთი, სახელმწიფო ნორმალურ პირობებში აწესებს ბაზრის ოპერაციების გარკვეულ საზღვრებს, რომლებიც მოიცავს საკუთრების ფლობას, სამართლებრივ ფასწარმოქმნის სისტემის ეფექტიანობას.

სახელმწიფო ყიდულობს და ყიდის საქონლისა და მომსახურების განსაზღვრულ ოდენობას და უნაწილებს მის საკუთრებაში არსებულ სუბიექტებს.

სახელმწიფო ახორციელებს საგადასახადო დაბეგვრას და გასცემს ტრანსფერტებს და როცა იგი მობილიზაციას უკეთებს საგადასახადო შემოსავლებს და ეწევა მის

ხარჯვას, ამით პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებს საზოგადოების შეზღუდული რესურსების განაწილებაზე.

მეორე, სახელმწიფოს ეკონომიკაზე ჩარევის უმნიშვნელოვანეს თეორიულ გამართლებას წარმოადგენს ის, რომ არასრულყოფილი ბაზარი ყოველთვის ეფექტიანად ვერ ანაწილებს რესურსებს. თუმცა მას ბევრი მოწინააღმდეგე გააჩნია როგორც ეკონომისტებს, ისე სახელმწიფო მოღვაწეებს შორის.

თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ბაზრის არასრულყოფილება ძირითადად ვლინდება შემდეგ შემთხვევებში:

როცა ეკონომიკა ციკლისებურად ვითარდება, წარმოების მოცულობა, შემოსავლები, დასაქმება და ფასები ხშირად არასასურველი მიმართულებით იცვლება. სახელმწიფო ხელისუფლება საგადასახადო დაბეგვრისა და ხარჯების მეშვეობით აწელებს ეკონომიკური ციკლის უარყოფით შედეგებს, ამასთან, თუ სახელმწიფო არ ეყრდნობა ეკონომიკურ თეორიას და მის მიერ შემუშავებული პოლიტიკა ბოლომდე მოფიქრებული და რეალიზებული არ არის, თვით სახელმწიფოს ქმედებას მეტად უარყოფითი შედეგები მოჰყვება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.


ბაზარი თავის არასრულყოფილებას ამჟღავნებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის, დოვლათის წარმოებისა და განაწილების დროს. სახელმწიფო საზოგადოებრივ კეთილდღეობას აწელებს უფასოდ, რაც კერძო ბიზნესისთვის მიუღებელია. ფაქტობრივად, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას სახელმწიფო სტრუქტურები კერძო სექტორს აკისრებენ. თანაც ისინი განსაზღვრავენ მხოლოდ მოცულობას და მისი განაწილების ხასიათს.

ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის არარსებობა ბაზრის არასრულყოფილების კიდევ ერთი წყაროა. სახელმწიფო თავისი მარეგულირებელი სამსახურების დახმარებით ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას, რათა გააუმჯობესოს რესურსების განაწილება.

თუ საბაზრო სისტემა ნაკლებად არის დაინტერესებული შემოსავლების სამართლიანი განაწილებით, სახელმწიფო ერევა მის საქმიანობაში და გადასახადებისა და ტრანსფერტების გზით არეგულირებს განაწილების სისტემას.

განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო შემოსავლების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია სახელმწიფო ბიუჯეტებში, რომლებსაც ყველაზე მეტი შემოსავალი აქვთ. ცენტრალური მთავრობების ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადები (ფედერალური გადასახადები) მოიცავს: საშემოსავლო გადასახადს, კორპორატიულ გადასახადს, დღგ, აქციზებსა და საბაჟო გადასახადებს. ადგილობრივი ბიუჯეტები იღებენ შემოსავალს ადგილობრივი ეკონომიკიდან, შემოსავლები ადგილობრივი ხელისუფლების სესხიდან, ცენტრალური ხელისუფლების სუბსიდიებიდან. ძირითადი რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადები მოიცავს ქონებისა და მიწის გადასახადებს და, ზოგიერთ ქვეყანაში, აქციზის გადასახადებს.

დიაგრამა №1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელმწიფო საწარმოების შემოსავლები შედგება მოგების, სესხების, მთავრობის სუბსიდიებისა და სესხებისგან. სახელმწიფოს მრავალი სპეციალური ფონდი იქმნება სპეციალური გადასახადებისა და მოსაკრებლების, ნებაყოფლობითი შენატანების,

ბიუჯეტიდან სუბსიდიებისა და სესხებისგან. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდი არის სახელმწიფო ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილი, სხვა ქვეყნებში იქმნება ავტონომიური ფონდი, რომელიც ფორმდება თანამშრომლების, მეწარმეების, თავისუფალი პროფესიის მქონე ადამიანების და სუბსიდიების სავალდებულო გამოქვითვებით. სახელმწიფო.

გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მთავარ ფორმას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ცენტრალური მმართველობების ბიუჯეტებში ისინი ყველა შემოსავლის 70%-დან 90%-ს შეადგენს, ადგილობრივ ბიუჯეტებში საგადასახადო შემოსავლების წილი ჩვეულებრივ დაახლოებით ნახევარია.

სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული გადასახადებისა და მოსაკრებლების გამო, იქმნება სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების (რუსეთის ფედერაციაში არსებული უნიტარული საწარმოები) ფინანსური რესურსების ნაწილი და რიგი სპეციალური ფონდები.

ცხრილი №1

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (2015 წელი)

სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ. ლარი)	2015				2015	წილი
	I	II	III	IV		
შემოსავლები	1,951.1	1,876.3	2,198.1	2,145.0	8,170.5	
გადასახადები	1,828.4	1,752.6	2,021.6	1,947.0	7,549.6	92.4%
საშემოსავლო გადასახადი	460.4	470.0	536.3	585.9	2,052.6	27.2%
მოგების გადასახადი	318.9	247.9	291.8	166.6	1,025.2	13.6%
დღგ	848.6	815.1	919.3	922.4	3,505.4	46.4%
აქციზი	176.9	196.7	251.9	245.2	870.7	11.5%
იმპორტის გადასახადი	17.7	18.0	15.5	17.9	69.1	0.9%
ქონებაზე გადასახადი	-	-	-	-	-	
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	5.9	4.9	6.8	9.0	26.6	0.4%
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	
გრანტები	58.2	42.2	96.4	118.8	315.6	4.2%
სხვა შემოსავლები	64.5	81.5	80.1	79.2	305.3	4.0%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემის მეშვეობით გადანაწილებული ეროვნული შემოსავლის წილი დამოკიდებულია ქვეყნის ამოცანებსა და ფუნქციებზე. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო განსაკუთრებით აქტიურია სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში (სკანდინავიის ქვეყნები, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.), სახელმწიფო ეროვნული შემოსავლის წილი ჩვეულებრივ უფრო მეტია. საგადასახადო განთავსუფლების საერთო ზომა და მათი წილი ეროვნულ შემოსავალში მნიშვნელოვნად მოქმედებს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა მილიტარიზაცია, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ფორმები და მეთოდები და სახელმწიფო საკუთრების ზომები.

ცხრილი №2

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (2016 წელი)

სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ. ლარი)	2016				2016	წილი
	I	II	III	IV		
შემოსავლები	2,050.3	1,905.9	2,329.0	2,294.8	8,580.0	
გადასახადები	1,956.5	1,788.0	2,199.0	2,043.3	7,986.8	93.1%
საშემოსავლო გადასახადი	334.4	571.3	584.9	487.6	1,978.2	24.8%
მოგების გადასახადი	205.6	304.4	374.0	171.9	1,055.9	13.2%
დღგ	728.1	749.0	927.6	881.7	3,286.4	41.1%
აქციზი	226.7	265.8	304.1	273	1,069.6	13.4%
იმპორტის გადასახადი	23.9	8.9	19.1	18.2	70.1	0.9%
ქონებაზე გადასახადი	-	-	-	-	-	
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	437.7	-111.4	-10.7	210.9	526.5	6.6%
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	
გრანტები	28.2	53.0	57.0	158.6	296.8	3.7%
სხვა შემოსავლები	65.6	64.9	73.0	92.9	296.4	3.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წილი 0.7%-ით გაიზარდა, რითიც შეიძლება ითქვას რომ სახელმწიფოში დამატებით ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა, მოზიდული იქნა უფრო მეტი ინვესტიცია, რამაც განაპირობა გადასახადებიდან შემოსავლების ზრდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (2017 წელი)

სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ. ლარი)	2017				2017	წილი
	I	II	III	IV		
შემოსავლები	2,426.7	2,244.9	2,514.6	2,564.2	9,750.3	
გადასახადები	2,274.3	2,009.5	2,353.6	2,353.9	8,991.3	92.2%
საშემოსავლო გადასახადი	643.2	636.8	636.4	609.5	2,526.0	28.1%
მოგების გადასახადი	259.2	230.9	127.5	138.9	756.6	8.4%
დღგ	960.8	954.0	1,097.2	1110.6	4,122.6	45.9%
აქციზი	331.1	329.8	386.1	403.8	1,450.9	16.1%
იმპორტის გადასახადი	18.3	16.2	16.9	20.3	71.6	0.8%
ქონებაზე გადასახადი	-	-	-	-	-	
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	61.7	-158.2	89.4	70.8	63.6	0.7%
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	
გრანტები	74.5	84.5	59.5	71.4	289.9	3.2%
სხვა შემოსავლები	77.9	150.9	101.5	138.9	469.1	5.2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (2018 წელი)

სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ. ლარი)	2018				2018	წილი
	I	II	III	IV		
შემოსავლები	2,635.1	2,384.7	2,726.3	2,849.5	10,595.6	
გადასახადები	2,380.0	2,136.8	2,558.4	2,620.7	9,695.9	91.5%
საშემოსავლო გადასახადი	716.6	709.1	726.0	726.2	2,877.9	29.7%
მოგების გადასახადი	235.5	161.7	179.2	160.2	736.6	7.6%
დღგ	1,064.8	1,087.4	1,143.5	1131.2	4,426.9	45.7%
აქციზი	305.3	348.8	436.9	374.7	1,465.7	15.1%
იმპორტის გადასახადი	19.0	18.9	17.8	17.7	73.4	0.8%
ქონებაზე გადასახადი	-	-	-	-	-	
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	38.8	-189.1	55.0	210.7	115.4	1.2%
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	
გრანტები	173.3	49.1	55.8	61.2	339.4	3.5%
სხვა შემოსავლები	81.8	198.8	112.1	167.6	560.3	5.8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (2019 წელი)

სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ. ლარი)	2019*				2019*	წილი
	I	II	III	IV		
შემოსავლები	2,580.0	2,458.7	2,829.6	2,806.1	10,674.4	
გადასახადები	2,316.5	2,187.4	2,673.4	2,488.3	9,665.6	90.5%
საშემოსავლო გადასახადი	753.4	812.3	789.6	844.9	3,200.2	33.1%
მოგების გადასახადი	279.1	191.0	204.0	192.2	866.3	9.0%
დღგ	885.0	968.6	1,237.4	1152.6	4,243.6	43.9%
აქციზი	285.3	258.9	449.2	513.3	1,506.7	15.6%
იმპორტის გადასახადი	15.6	18.5	22.3	22.7	79.1	0.8%
ქონებაზე გადასახადი	-	-	-	-	-	
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	98.1	-61.9	-29.1	-237.4	-230.3	-2.4%
სოციალური შენატანები	-	-	-	-	-	
გრანტები	162.6	65.3	46.5	145.8	420.2	4.3%
სხვა შემოსავლები	100.9	206.0	109.7	172.0	588.6	6.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის ანალიზით 2015 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების წილი იმდენად დიდია, რომ მისი არსებობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა არამხოლოდ განვითარება არამდე არსებობაც კი. მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 2016 წლიდან შემცირებულია ეკონომიკური აქტივობა, არ შემოედინება უცხოური ინვესტიციები, არ ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წილს გადასახადებიდან შემოსული თანხები შეადგენს და ბიუჯეტში წლიდან წლამდე მცირდება მისი მაჩვენებლები.

3.2 გადასახადები, როგორც სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტი

რეგულირების მიზნები და ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის სფეროები ფართოა და ძალიან განსხვავდება ქვეყნებში და ისტორიულ პერიოდებში, მაგრამ თითქმის ყოველთვის და ყველგან გადასახადები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ

მარეგულირებელ პროცესში. თანამედროვე რუსეთი ამ წესის გამონაკლისი არ არის. წარმოების გაზრდის საგადასახადო სტიმულირების მოწოდებები ყველა პოლიტიკური ლოზუნგისა და ეკონომიკური პროგრამების განუყოფელი ნაწილია. ამ შემთხვევაში, ნამდვილად შეუზღუდავი ფარგლები ეკისრება გადასახადებს. ამასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად აუცილებელია გადასახადების ფაქტობრივი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრა ეკონომიკაზე ეფექტურ ზემოქმედებაზე.

საგადასახადო ფუნქციების საკითხი ვერ განიხილება მოგვარებულად. სინამდვილეში, მხოლოდ ერთი ფუნქცია შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც უდავო - ფისკალური: გადასახადების ყველა სხვა მიზანი, მათ შორის მათი მარეგულირებელი (ეკონომიკური, მასტიმულირებელი) ფუნქცია, თავის დასაბუთებაში შეიცავს გამოუსწორებელ ხარვეზებს. ამავე დროს, შეუძლებელია უარი თქვან გადასახადების ზემოქმედებაზე მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესზე.

ამ აშკარა წინააღმდეგობის გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადს, ისევე როგორც ნებისმიერ რთულ სოციალურ ფენომენს, აქვს მოქმედების ძალიან ფართო სპექტრი და, შესაბამისად, მისი თანდაყოლილი როლის მიღმა შეიძლება გამოყენებული იქნას. თუ მაგალითად ავიღებთ ფულს, მაშინ მათი ეფექტურობა, როგორც წახალისება, ძალზე მაღალია, მაგრამ ეს არასდროს მოხდება ვინმესთვის ფულის სტიმულირების ფუნქციის დაწესება. ფულის მასტიმულირებელი როლი მეორეხარისხოვანია, ამიტომ მათ შეუძლიათ სტიმულირება (წახალისება, დასჯა) იმის გამო, რომ მათ აქვთ უნარი "გახდნენ გადახდის საშუალება ან დაზოგონ ღირებულება. ფულს არ გააჩნია მასტიმულირებელი ფუნქცია, რადგან, ფაქტობრივად, სტიმული არის ფულის მიღება ან არ მიღება (და ის საქონელი, რომლის ღირებულებაც მათ წარმოადგენენ), მაგრამ თავად ფულს არანაირი კავშირი არ აქვს მიღებასთან ან მიღებასთან.

ამრიგად, გადასახადების ფისკალური დანიშნულება გაერთიანებულია მათ მარეგულირებელ ეფექტთან: ცენტრალიზებული სახელმწიფო რესურსების ფორმირებას, ამასთან ერთად გადასახადებს აქვთ გავლენა ინდივიდუალურ

ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, ანუ მარეგულირებელ ეფექტზე. კომბინაცია წინააღმდეგობრივია. ამრიგად, გადასახადები, როგორც ფისკალური ინსტრუმენტი, ფულის აღებას პირველ რიგში აქტიური და ძლიერი გადამხდელების ხელიდან, უდავოდ აკრძალავს დაგროვებას, ასუსტებს ფულის შოვნის სტიმულს. ამავდროულად, გადასახადების იგივე ფისკალური ბუნება ემყარება ბიუჯეტის ფორმირებას და ამით ქმნის ზოგად პირობებს წარმოების ნორმალური განვითარების, სოციალური გარანტიების გაფართოებისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. წარმოებიდან ამოღებული თანხა იგზავნება არა პროდუქტიული სფეროს დასაფინანსებლად, რაც გარკვეულწილად აფართოებს მოთხოვნას და ხელს უწყობს წარმოებას.


ზოგადი საგადასახადო რეჟიმი და საგადასახადო ტვირთი, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პროგრესის მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება. თუ საგადასახადო სისტემა მიჰყვება მისი მშენებლობის კლასიკურ პრინციპებს (თანასწორობა, ნეიტრალიტეტი, სიმარტივე, მოხერხებულობა და ა.შ.), მაშინ ეს ხელს უწყობს წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რაზე იხარჯება შეგროვებული გადასახადები: საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურა (და მათი მოცულობის არანაკლებ ნაკლებია) დატოვებას ახდენს რეალური საგადასახადო ტვირთზე და უდავოდ უნდა იქნას გათვალისწინებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას.

მაშასადამე, იმისდა მიუხედავად, რომ საგადასახადო ურთიერთობების მარტივი პირდაპირი ფულადი საფუძველი გადასახადებს აყენებს განსაკუთრებულად მიმზიდველ ინსტრუმენტს, მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირ გავლენის მოხდენაზე, საგადასახადო რეგულირების მეთოდების გამოყენება (პირველ რიგში საგადასახადო შეღავათები) ეწინააღმდეგება ასეთ არსებით პრინციპებს დაბეგვრა, როგორც უნივერსალურობა, თანასწორობა, ნეიტრალიტეტი, რაც ანგრევს გადასახადის ფუნქციურ გარკვეულობას.

ამრიგად, რეგულირება არ არის გადასახადების შიდა საკუთრება. თითოეულ შემთხვევაში, განსაკუთრებული სარგებლის არჩევისას, საგადასახადო რეგულირების სუბიექტი არღვევს გადასახადის ფისკალურ მნიშვნელობას და იძულებულია შეაფასოს გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი შედეგები. რაც შეეხება ამ კუთხით საქართველოს რეალობას, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ბიზნეს სუბიექტების განსხვავებულ დამოკიდებულებას ცხადყოფს. კითხვაზე, თუ რა დოზით ფლობენ ინფორმაციას საქართველოში ამჟამად არსებული გადასახების შესახებ, სურათი ასეთია:

დიაგრამა №2.


რამდენად ფლობთ ინფორმაციას საქართველოში არსებული გადასახადების შესახებ
45 ответов



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა №3.

გადასახადების შესახებ ინფორმაციას ვღებულობ?
45 ответов




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამები №2 და №3 გვამჩვენებს ინფორმაციებს თუ რამდენად ფლობს საქართველოს მოსახლეობა ინფორმაციას საქართველოში არსებულ გადასახადებთან დაკავშირებით და აგრეთვე რა ინფორმაციული წყაროების საშუალებით ღებულობენ ამა თუ იმ ინფორმაციას მიმდინარე საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

დიაგრამა №4.

რის შეცვლას ისურვებდით გადასახადებიდან?
45 ответов




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა №4 გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რის შეცვლა სურთ გამოკითხულ რესპოდენტებს. გამოკითხულთა უმრავლესობას 60%-ს, მიაჩნია რომ საჭიროა მოგების და დამატებული ღირებულების გადასახადების ნაწილში გარკვეული ცვლილებები, რათა ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებისთვის ამ გადასახადებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს და ანელებს ეკონომიკურ აქტივობას.

დიაგრამა №5.

როგორ შეაფასებთ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით გადასახადების გადავადების პირობებს?
45 ответов




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა №5-ის ანალიზით გამოკითხულ რესპოდენტთა 53% ფიქრობს, რომ გლობალური COVID-19 პანდემიის პერიოდში სახელმწიფომ დადებითი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გადასახადის გადამხდელებისთვის გადასახადების გადავადების ნაწილში, იქედან გამომდინარე, რომ პანდემიის პერიოდში ეკონომიკას და მოსახლეობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მიადგა, გადასახადებოს გადავადება იყო ერთადერთი საშუალება ეკონომიკური საქმიანობის შესანარჩუნებლად.

დიაგრამა №6.

როგორ მოქმედებს თქვენს ბიზნესზე საქართველოში არსებული გადასახადები?
45 ответов



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით


დიაგრამა №7

როგორ ფიქრობთ რა როლი აქვს გადასახადებს ქვეყნის ეკონომიკაში?
45 ответов



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

როგორ ფიქრობთ რა წილი უჭირავს გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში?
44 ответа




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამები №6, №7 და №8-ის მიხედვით რესპოდენტები თვლიან, რომ საქართველოში არსებული გადასახადები და მათი განაკვეთები არც თუ ისე დაბალია და გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტებზე, აქვე შეგვიძლია გავანალიზოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რა შემოსავლებს მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტი და ნაწილს იკავებს ამ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლები, შესაბამისად არ აქვთ ინფორმაცია რა ფორმებით ხდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში და როგორ იხარჯება ის სოციალური ეკონომიკური განვითარებისთვის.

დიაგრამა №9

როგორ ფიქრობთ სწორად ახდენს თუ არა სახელმწიფო გადასახადების გადანაწილებას?
45 ответов



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩემს მიერ აგრეთვე გამოიკითხა 50-მდე პირი. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქვეყნის სტაბილურობისთვის, ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სრულყოფილი საგადასახადო სისტემის არსებობა, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტი სწორედ რომ საგადასახადო შემოსავლებს შეადგენს, რომლის სწორი და თანაბარი გადანაწილება გარანტიაა ქვეყნის მოსახლეობის განვითარებისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

დასკვნები და რეკომენდაციები:

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველს, რის გარეშეც მისი არსებობა არ არის შესაძლებელი. გადასახადების დაწესება და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფორმირებასთან დაკავშირებული, რადგან ქვეყნის დასახული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება მოითხოვს ფინანსური სახსრების შეგროვებას, აქედან გამომდინარე აუცილებელი გახდა შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.

საფინანსო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია გადასახადებით დაბეგვრის სფეროში არსებული ურთიერთობები, საგადასახადო სისტემა დაკავშირებულია სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემასთან. ნებისმიერ სახელმწიფოში ფინანსური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო სახელმწიფო ფინანსებია, ის უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ფუნქციების შესრულებას. ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი ფინანსური ბაზა. ქვეყნის ფინანსური სისტემის მთავარ რგოლს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, სადაც მობილიზებულია ფინანსური რესურსები.

სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკურ და იურიდიულ ასპექტებში:

ეკონომიკური ასპექტი - ქვეყნის ბიუჯეტი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთიანობა, რაც წარმოიშობა ფულადი საშუალებების ცენტრალური ფონდის ფორმირების, გადანაწილების და რეალიზების პროცესებში.

იურიდიული ასპექტი - სახელმწიფო ბიუჯეტი არის საჯარო ფინანსური სახსრების შექმნის, განაწილების და რეალიზების მთავარი ფინანსური გეგმა, რომელსაც კანონის ფორმით იღებს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანო და მოიხსენიება ბიუჯეტის შესახებ კანონი. ასეთი ფინანსური გეგმით იურიდიული უფლება-მოვალეობები ეკისრებათ საბიუჯეტო სახსრების განმკარგავ სუბიექტებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით **სახელმწიფო ბიუჯეტი** ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმაა შესაბამისი წლისათვის, რომელსაც კანონის ძალა აქვს და მასში აკუმულირებული ფულადი სახსრების ფონდები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ის წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციას ფულად ფორმაში. (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი...2009: მუხლი 6)

„გადასახადი ეს არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით, არ ატარებს დასჯის ან კონტრიბუციის ხასიათს და აუცილებელია საჯარო ხელისუფლების სუბიექტების გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად“. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი... 2020: მუხლი 6)

გადასახადი არ არის დაბრუნებადი, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელიდან ამოღებულ თანხას ფულადი ფორმით არ აბრუნებს, თუმცა სახელმწიფოები საგადასახადო შემოსავლებიდან ნაწილს ხარჯავს ეკონომიკის სტიმულირებისთვის, სოციალური და სხვა ღონისძიებისთვის. ამ ფორმით გადასახადების რაღაც ნაწილი არაპირდაპირი გზით ბრუნდება გადასახადის გადამხდელბთან, გამოიყენება მათი და მთელი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისთვის, თავდაცვისთვის, წესრიგისთვის და ა.შ. შესაბამისად გადასახადი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის მიმართ გაწეული მომსახურების საფასურია.

სახელმწიფო ფინანსური რესურსების სრულად დაკმაყოფილების აუცილებლობის საფუძველზე სახელმწიფო ადგენს გადასახადების ერთობლიობას, რომელიც უნდა იყოს დაწესებული ერთიანი წესების მიხედვით და ერთიანი პრინციპებით. პირველი ასეთი პრინციპები ჩამოაყალიბა ადამ სმიტმა, რომელიც თავის ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელიც გამოიცა 1776 წელს, პირველად ჩამოაყალიბა დაბეგვრის ოთხი ძირითადი პრინციპი.

თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი: ყველა მოქალაქე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ფინანსების ფორმირებაში მიღებული შემოსავლისა და შესაძლებლობების პროპორციულად.

განსაზღვრულობის პრინციპი: დადგენილი გადასახადი, რომლის გადახდაც ყველას ვალდებულებაა დადგენილი უნდა იყოს ზუსტად, მისი გადახდის დრო, მეთოდი და ოდენობა უნდა იყოს მკაფიო და ცნობილი თავად გადასახადის გადამხდელისთვის და ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის.

ეკონომიის პრინციპი: უზრუნველყოფილი უნდა იქნას თითოეული კონკრეტული გადასახადის მაქსიმალური ეფექტურობა, რაც გამოიხატება მთავრობის შენახვის დაბალი დანახარჯებით გადასახადების შეგროვებისა და საგადასახადო აპარატის შენარჩუნებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემის მართვისა და საგადასახადო შესაბამისობის ადმინისტრაციული ხარჯები უნდა იყოს მინიმალური.

მოხერხებულობის პრინციპი: თითოეული გადასახადი უნდა გადაიხადოს ისეთ დროს და იმ გზით, რომელიც მოსახერხებელია გადასახადის გადამხდელისათვის. ეს ნიშნავს ფორმალობების აღმოფხვრას და გადასახადების გადახდის აქტის გამარტივებას.

ამ პრინციპების ფორმულირებისა და მეცნიერული დასაბუთების შედეგად, ადამ სმიტმა საფუძველი ჩაუყარა საგადასახადო ფუნდამენტური პრინციპების თეორიულ განვითარებას.

გადასახადები ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. გადასახადების ფუნქციები გამოისახება არსში, დანიშნულებაში, თვისებებში, აგრეთვე მოსახლეობაში როლის განსაზღვრაში. გადასახადების ფუნქციები აჩვენებს, თუ როგორ ახდენენ მოცემული ეკონომიკური კატეგორიის შემოსავლის განაწილების ინსტუმენტის გამოყენებას, მისი მეშვეობით ხორციელდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გათანაბრება და ეკონომიკის სტიმულირება.

გადასახადების ფუნქციებიდან გამოყოფენ ორ ძირითად ფუნქციას: **ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციას**. ამ ფუნქციების გარდა, ასევე გამოყოფენ **გადასახადების სოციალურ ფუნქციასაც**.

ფისკალური ფუნქცია - ეს ფუნქცია უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების შესრულებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზებას. ფისკალური ფუნქციის საშუალებით ხდება გადასახადების ფორმირება, რომელიც აისახება ბიუჯეტში და აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდებში. აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ამოცანების რეალიზება, განსაკუთრებით წესრიგის, სოციალური დარგების, თავდაცვის, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და სხვა მიმართულებების დაფინანსება.

მარეგულირებელი ფუნქცია - ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ან შენელება შესაძლებელია საგადასახადო განაკვეთების მანევრირების საშუალებით. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია ეკონომიკურის ფუნქციის სახელითაც მოიხსენიება. ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში მასტიმულირებელი ფუნქციის სახელითაც არის მოხსენიებული, მათ შინაარსში პრინციპული განსხვავება არ არის. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესში გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ, ანელებენ ან ასტიმულირებენ პროცესის ტემპებს, ასუსტებენ ან აძლიერებენ კაპიტალის დაგროვებას, მოქალაქეების მსყიდველობითუნარიანობას აფართოებენ ან ამცირებენ.

სოციალური ფუნქცია ემსახურება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გათანაბრებას. ამ ფუნქციის საშუალებით პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრით დაბალშემოსავლიან ჯგუფში ნაწილდება მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირებიდან ამოღებული ეროვნული შემოსავლები. სხვადასხვა მოცულობის შემოსავლებზე არათანაბარი დაბეგვრის გზით ხდება ამ ფუნქციის რეალიზაცია. საწარმოების და საზოგადოების პირადი შემოსავლები უმეტესად იბეგრება პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით.

თ. რუზველტის აზრით, „სახელმწიფოს მიზანი თავისი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ერის მატერიალური წინსვლა და კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ არის მიღწეული, თუ მას მივყავართ თითოეული მოქალაქის მორალურ და მატერიალურ კეთილდღეობამდე.“ (რ. კაკულია ... საჯარო ფინანსები: გვ 24)

კეთილდღეობის ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის შემადგენელ ნაწილს, რომლის კვლევის ობიექტად სხვადასხვა ეკონომიკური სისტემების სოციალური მდგომარეობა გვევლინება. რესურსების განაწილების შესაფასებლად გამოიყენება „პარეტო-ეფექტიანობის“ კატეგორია. რესურსები „პარეტო-ეფექტიანობის“ მიხედვით მხოლოდ მაშინ ნაწილდება, როდესაც ინდივიდს არ შეუძლია გამდიდრება ისე, რომ სხვა პირის მატეალურ მდგომარეობას ზიანი არ მიადგეს. „პარეტო-ეფექტიანობა“ ეკონომიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ეკონომისტთა ათვლის წერტილია. კონკურენტული ეკონომიკა რესურსების ეფექტიან განაწილებას „ავტომატურად“ ახორციელებს, რაც არ საჭიროებს ცენტრალიზებულ მმართველობას, რასაც თავის მხრივ, მოწმობს ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ თეორია.

კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე ძირითადი თეორიის შესაბამისად, საზოგადოება თუ მიზნობრივად გამოიყენებს მობილიზებულ ფულად სახსრებს, შემდგომში კი ხალხს მისცემს ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობის საშუალებას დასაშვებია, რესურსები გაანაწილოს „პარეტო-ეფექტიანობის“ მიხედვით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სახელმწიფო მაქსიმალური სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს, თუ იგი შემოსავალს სათანადოდ გადაანაწილებს, ბაზარს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს, თავად კი მას განერიდება.

სახელმწიფო სექტორში ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე. ეკონომიკის ცენტრალიზებულ-გეგმიანი სისტემის პირობებში საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემა, რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმს და შესაბამისად, არ საჭიროებდა დამოუკიდებელ საგადასახადო პოლიტიკას და სისტემას. 2. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილის ამოღება ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით, ყოველგვარი საგადასახადო ბერკეტებისა და კანონმდებლობის უგულვებელყოფით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა

საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასავლის რთულ გზას და სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მთელი სისრულით წამოიჭრა მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა, თავისთავად დღის წესრიგში დადგა საგადასახადო სისტემის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება მოითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას. სწორედ 1993 წლის დეკემბერში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი), რომლის ძირითადი მიზანიც და დანიშნულებაც სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად გაამარტივა საგადასახადო სისტემა, რაც გადასახადების რაოდენობის 18-დან 7-მდე შემცირებასა და საგადასახადო განაკვეთის კლებაში გამოიხატა. კერძოდ საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთის ნაცვლად (12%-დან 20%-მდე) შემოღებულ იქნა ერთიანი 12%-იანი განაკვეთი, სოციალური გადასახადის განაკვეთი შემცირდა 33%-დან 20%-მდე, დამატებული ღირებულების გადასახადი კი 20%-დან 18%-მდე. საგადასახადო შეღავათებისა და საგადასახადო სტიმულების ფართო სპექტრის გაუქმებამ დადებითად იმოქმედა საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე.

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავდა: 1. გადასახადების რიცხოვნობის შემცირებითა და დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესებით ეროვნული ეკონომიკის ზრდისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნას. 2. საგადასახადო კულტურის ამაღლებას. 3. საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას და 4. ბიზნესის მხარდაჭერას.

საქართველოში არ არსებობს ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკა. არ მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის განვითარების თეორიული კვლევები. აგრეთვე ხშირად ხდება საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები, რომლებიც არ არის განპირობებული ანალიზებზე დაყრდნობით. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია

საგადასახადო ორგანოში ხშირად ცვალებადი ხელმძღვანელი პირების პირადი გადაწყვეტილებების მიზეზით. რათქმუნდა ეს ყველაფერი ქვეყანაში მეწარმეების განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს და მნიშვნელოვნად ნელდება ეკონომიკური ზრდა.

საგადასახადო სისტემის ეფექტურობა მისი რეგულირების და მართვის ხარისხზე არის დამოკიდებული. სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა ამ მიმართულებით იმ ამოცანებზეა დამოკიდებული, რომელიც განვითარების კონკრეტულ ეტაპზეა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, გადასახადების ადმინისტრირება განიმარტება, როგორც „გადასახადების გამომწვევებისა, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში“. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2020: მუხლი 8)

საგადასახადო ადმინისტრირება შინაარსობრივად მეცნიერული და პრაქტიკული პროცესებია. ისტორიული გამოცდილების და ეკონომიკური მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განხორციელდა დაბეგვრის სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება, იგი უზრუნველყოფს საგადასახადო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას. ბიუჯეტის შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყაროა გადასახადები, ხოლო საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მიერ ხარჯების გაწევის ვალდებულების შესრულება, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ანალოგიურად საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მთავარი მიზანია ემსახუროს სამოქალაქო საზოგადოებას და ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, არსებითად გამოდის მოქალაქეთა მიზნების

რეალიზაციის დამხმარე ინსტრუმენტის როლში. უნდა ვირწმუნოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა არასოდეს არ არის ორიენტირებული რაიმე ზეადამიანური „უმაღლესი მიზნის“ განხორციელებისკენ, თითოეულს შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესები.

რეგულირების მიზნები და ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის სფეროები ფართოა და ძალიან განსხვავდება ქვეყნებში და ისტორიულ პერიოდებში, მაგრამ თითქმის ყოველთვის და ყველგან გადასახადები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მარეგულირებელ პროცესში. თანამედროვე რუსეთი ამ წესის გამონაკლისი არ არის. წარმოების გაზრდის საგადასახადო სტიმულირების მოწოდებები ყველა პოლიტიკური ლოზუნგისა და ეკონომიკური პროგრამების განუყოფელი ნაწილია. ამ შემთხვევაში, ნამდვილად შეუზღუდავი ფარგლები ეკისრება გადასახადებს. ამასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად აუცილებელია გადასახადების ფაქტობრივი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრა ეკონომიკაზე ეფექტურ ზემოქმედებაზე.

ამრიგად, გადასახადების ფისკალური დანიშნულება გაერთიანებულია მათ მარეგულირებელ ეფექტთან: ცენტრალიზებული სახელმწიფო რესურსების ფორმირებას, ამასთან ერთად გადასახადებს აქვთ გავლენა ინდივიდუალურ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, ანუ მარეგულირებელ ეფექტზე. კომბინაცია წინააღმდეგობრივია. ამრიგად, გადასახადები, როგორც ფისკალური ინსტრუმენტი, ფულის აღებას პირველ რიგში აქტიური და ძლიერი გადამხდელების ხელიდან, უდავოდ აკრძალავს დაგროვებას, ასუსტებს ფულის შოვნის სტიმულს. ამავდროულად, გადასახადების იგივე ფისკალური ბუნება ემყარება ბიუჯეტის ფორმირებას და ამით ქმნის ზოგად პირობებს წარმოების ნორმალური განვითარების, სოციალური გარანტიების გაფართოებისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. წარმოებიდან ამოღებული თანხა იგზავნება არა პროდუქტიული სფეროს დასაფინანსებლად, რაც გარკვეულწილად აფართოებს მოთხოვნას და ხელს უწყობს წარმოებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ადამ სმიტი ... „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ“ (სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1938)
2. ავტორთა ... 2003: ავტორთა კოლექტივი. „საგადასახადო ქრესტომათია“ (დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო მოხელეთათვის). თბილისი;
3. ბათუმის 2010: ი. პაპასქუა, ს. ფუტკარაძე, - „საგადასახადო კანონმდებლობა და გადასახადების საგადასახადო ადმინისტრირების პრობლემები საქართველოში“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. „ინოვაციები ბიზნესში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 16–17 აპრილი, ბათუმი 2010, თბილისი;
4. ბახტაძე ... 2007: ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., „საგადასახადო საქმე“. თბილისი;
5. გადასახადების 1995: „გადასახადების კანონთა კრებული“. თბილისი.
6. ვერულიძე 2008: ვერულიძე ვ., „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“. სახელმძღვანელო. თბილისი.
7. მალაკელიძე 1999: მალაკელიძე თ., „გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება“, თბილისი.
8. ი. მესხია, რ. ბასარია ... საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბილისი, 2001;
9. ნადარაია ... 2012: ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები“. თბილისი.
10. როგავა 2002: როგავა ზ., „გადასახადები საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი.“ თბილისი;
11. ტერაშვილი 2006: ტერაშვილი ნ., „საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა.“ 2006. თბილისი;

12. რევაზ კაკულია - საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები;
13. გადასახადები: ივნისი 2016, მოძიებულია 19 აგვისტო, 2020;
<https://bag.ge/file.helix?i=56bd6894-bc4e-4109-b25026ed0a700d5&r=P>
14. რა არის გადასახადები? (ვიკიპედია) მოძიებულია 19 აგვისტო 2020 წელი.
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9>
15. ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები, 2020წ, მოძიებულია 19 აგვისტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; <https://mof.ge/4558>

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

1. https://works.doklad.ru/view/eR8E_vzjNQ4/all.html
2. <https://cyberleninka.ru/article/n/nalogi-kak-instrument-gosudarstvennogo-regulirovaniya-ekonomiki>
3. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3293_1.pdf
4. <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=161>
5. <https://www.google.com/search?q=%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98&ocq=%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98&aqs=chrome..69i57.15986j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
6. <https://bag.ge/file.helix?i=25e4d444-6e0e-494a-b112-2fe097d7c91e&r=P>

7. <https://www.linkedin.com/pulse/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-amiran-kiladze/>
8. <https://www.google.com/search?q=%D0%BD%D0%B0%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8+%D0%BA%D0%B0%D0%BA+%D0%B8%D0%BD%D1%81%D1%82%D1%80%D1%83%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82+%D0%B3%D0%BE%D1%81%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B3%D0%BE+%D1%80%D0%B5%D0%B3%D1%83%D0%BB%D0%B8%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%B0%D0%BD%D0%B8%D1%8F+%D1%8D%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BA%D0%B8&oq=nalogi+kak&aqs=chrome.2.69i57j0l7.12245j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
9. <https://www.dissercat.com/content/nalogi-kak-osnovnoi-instrument-gosudarstvennogo-regulirovaniya-sovremennoi-ekonomiki-rossii>
10. https://works.doklad.ru/view/eR8E_vzjNQ4/all.html
11. <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=161>
12. <http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2019-12-28>
13. <https://bntu.edu.ge/nier?fbclid=IwAR2s-qLSBe49sKRE4cclkJjNMkGYVSubScoATOaseAlOtz-fe6wQKr9lmQI>
14. <https://b-k.ge/?fbclid=IwAR29fAlHdzlS6T2lKaX6-9RfL-gZfx8dAPVzcEaTnlWfeV2IrgvbFTLQnHA>
15. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/1539?fbclid=IwAR2Nxn32eD2HO7mQMBI4SSFwwzD9FH5LjxrG1yfyWviX8JdHZ4QdUIGNj1A>
16. <http://www.media.ge/ge/portal/articles/4334/?fbclid=IwAR2Nxn32eD2HO7mQMBI4SSFwwzD9FH5LjxrG1yfyWviX8JdHZ4QdUIGNj1A>
17. <http://ejournals.atsu.ge/BLSS/index.html>
18. <http://tic.tsu.ru/www/uploads/nalog/page7.html>
19. <https://www.inventech.ru/lib/right/right-0444/>
<https://medium.com/@Tornike/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-f2ec9f9981fe>

20. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika>
21. <https://docs.google.com/forms/d/1hhJLI1prVEBhUnA3fvajJCXqhDWdvvSqjBBiVXsouHk/edit#responses>
22. <https://awgm.ru/ka/3-funkcii-naloga-i-nalogooblozheniya-nalogi-ih-vidy-i-funkcii.html>